

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. წერეთელი

სამთო მანქანების ელექტრული

ამძრავი

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი — 2006

ნაშრომში განხილულია ელექტროამძრავის მექანიკის საფუძვლები, მოყვანილია მოძრაობის ძირითადი განტოლება როგორც ბრუნვითი, ისე სწორხაზოვანი მოძრაობისათვის. განხილულია კონკრეტული მაგალითები სტატიკური დატვირთვის სხვადასხვა სახეებისათვის სამთო მანქანებისა და მექანიზმებისათვის. წარმოდგენილია მექანიზმების სტატიკური ძალების, მომენტებისა და მასების დაყვანა ამძრავი ძრავას ლილვზე. მოყვანილია მოძრაობის ძირითადი განტოლების შედეგის მეთოდიკა შემთხვევისათვის, როცა გასათვალისწინებელია ამწევი ბაგირის დრეკადობა და მისი სიზისტის კოეფიციენტი.

დაწვრილებითაა განხილული როგორც მუდმივი, ისე ცვლადი დენის ძრავების ელექტრომექანიკური თვისებები. მოყვანილია მექანიკური მახასიათებლების ასაგები ფორმულები, როგორც ძრავულ, ისე სამუხრუჭე რეჟიმებში. განხილულია მექანიკური, თბური და ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესები. მოყვანილია ძრავას სიმძლავრის ანგარიშის მეთოდიკა სამთო მანქანების მუშაობის თავისებურებების გათვალისწინებით.

ნაშრომი განკუთვნილია სამთო ელექტრომექანიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის და აგრეთვე სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სხვა სპეციალობებისათვის.

ოეცენზენტები: პროფ. გ. მაჩაბელი,

პროფ. რ. ენაგელი

პროფ. გ. გელეიშვილის რედაქციის

გამომცემლობა " ტექნიკური უნივერსიტეტი", 2006

ISBN 99940-56-99-9


შესავალი

განმარტება ცნებისა – “ ელექტროამძრავი”

დღესდღეობით, მრეწველობის ყველა დარგში, ამძრავის ძირითად სახეს ელექტრული ამძრავი წარმოადგენს. მან ასევე, ფართო გავრცელება პპოვა სამთო მრეწველობაში. ე ლ ე ქ ტ რ ო ა მ ძ რ ა ვ ა დ იწოდება ელექტრომექნიკური სისტემა, რომელიც შედგება ელექტრული ძრავას, გარდამქმნელი, გადამცემი და მმართველი მოწყობილობებისაგან და რომლის დანიშნულებაა მოძრაობაში მოიყვანოს სამრეწველო მანქანის მუშა ორგანოები და მართოს ეს მოძრაობა. შესაძლებელია, რომ სისტემაში გარდამქმნელი და გადამცემი მოწყობილობები არ არსებობდეს. ელექტრული ძრავა გარდაქმნის ელექტრულ ენერგიას მექანიკურად და სამუხრაჭე (გენერატორულ) რეჟიმში პირიქით, მექანიკურს - ელექტრულად.

ელექტრული ამძრავი (ნახ. შ.1) წარმოადგენს ელექტრომექანიკურ მოწყობილობას, რომელიც შედგება გრ გარდამსახის, მრ ელექტრული ძრავას, გრ გადამცემი და მმართველი მოწყობებისაგან.

ელექტროესელიდან მუშა ორგანოებამდე, ენერგიის მიწოდების სტრუქტურული სქემების თვალსაზრისით, ელექტრული ამძრავი იყოფა სამ ტიპად: ჯგუფური, ინდივიდუალური და ურთიერთდაკავშირებული.



ცან. გ.1

კ გ უ ფ უ რ ი ეწოდება ისეთ ელექტრულ ამძრავს, რომელიც უზრუნველყოფს რამოდენიმე მომუშავე მანქანის ან ერთი და იმავე მანქანის რამოდენიმე მუშა ორგანოს მოძრაობას. ამძრავის ეს ტიპი არ წარმოადგენს სრულყოფილ სახეობას, რადგანაც შეუძლებელია მუშა მანქანათა ცალცალკე მართვა. სამთო მრეწველობაში ჯვეუფური ამძრავის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნახშირის კომბაინი, საჭაც ერთი ძრავას საშუალებით მოდის მოძრაობაში მუშა ორგანოსა და მიწოდების მექანიზმები.

ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ამძრავი წარმოადგენს ისეთ სისტემას, რომლის ღროსაც თითოეული საწარმოო მანქანა მოძრა-

ობაში მოდის მასთან დაკავშირებული ელექტრული ძრავათი. ელექტრული ამძრავის ამ სახეს არ გააჩნია ის უარყოფითი მხარე, რაც აღნიშნული იყო ჯგუფური ტიპის ამძრავში. ინდივიდუალური ამძრავი უზრუნველყოფს მანქანის მუშაობის ოპტიმალურ რეჟიმებს, რომელთა დროსაც მიიღწევა მაქსიმალური მწარმოებლობა. ასეთი ამძრავები გააჩნიათ საშახტო ამწევებს, საბურო დანადგარებს, ვენტილატორებს, წყალამოსალვრელ და კონვეირულ დანადგარებს, მეტალმჭრელ ჩარხებს და სხვ.

უ რ თ ი ე რ თ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ეწოდება ისეთ ელექტრულ ამძრავს, რომელიც შედგება ორი ან რამდენიმე ელექტრულად ან მექანიკურად ურთიერთდაკავშირებული ელექტროძრავასაგან და რომელთა მუშაობის დროსაც შეთანხმებული უნდა იყოს მათი სიჩქარეებისა და დატირთვების, აგრეთვე მანქანების მუშა ორგანოების გადაადგილება სივრცეში. ურთიერთდაკავშირებული ამძრავების მაგალითებად სამთო მრეწველობაში გვევლინება ჯაჭვური და ლენტური საკონვეირო ხაზები, სარანდავი დანადგარები, მაკოპირებელი მეტალმჭრელი ჩარხები და სხვა მანქანები.

მოძრაობის მიხედვით ელექტროამძრავები შეიძლება იყოს მძრუნავი ან ხაზური, ხოლო გადამცემი მოწყობილობის მიხედვით – რედუქტორიანი ან ურედუქტორო.

დენის მიხედვით ელამძრავები ორი სახისაა: მუდმივი დენის, რომელშიც მუშა ძრავა მუდმივი დენისაა და ცვლადი დენის, რომელშიც მუშა ძრავა ცვლადი დენისაა.

თავი I

ელექტროამძრავის მექანიკის საფეხვლები

1.1 ელექტროამძრავის მოძრაობის ძირითადი განტოლება
ელექტროამძრავის ძირითადი დანიშნულებაა გარდაქმნას ელ-
ექტრული ენერგია მექანიკურად, მოიყვანოს მოძრაობაში საწარ-
მოო (მუშა) მანქანა სასარგებლო სამუშაოს შესასრულებლად და
განახორციელოს ამ სისტემის, ძრავა-მექანიზმის, ელექტრული მა-
რთვა. ამასთან, ძრავას ლილვიდან მუშა მანქანისათვის გადაცემუ-
ლი მთელი W ენერგიიდან ნაწილი $W_{\text{სტ}}$ - სტატიკური ენერგია
იხარჯება წინააღმდეგობის დაძლევაზე, ხოლო $W_{\text{დ}}$ - დინამიკური
ენერგია, სისტემის მბრუნავი ნაწილების კინეტიკური ენერგიის
შეცვლაზე, ანუ

$$W = W_{\text{სტ}} + W_{\text{დ}}, \quad 1.1$$

ყველაზე მარტივი შემთხვევისათვის, როცა მუშა მანქანა უშ-
უალოდ, ხისტადაა დაკავშირებული ძრავას ლილვთან და ივივე
ო (რად/წმ) კუთხური სიჩქარით ბრუნავს როგორც ძრავა,
სრული კინეტიკური ენერგიის მარაგი იქნება

$$W_{\text{დ}} = J \frac{\omega^2}{2}, \quad 1.2$$

სადაც $J = J_1 + J_2$ - სისტემის მბრუნავი ნაწილების ჯამური
ინერციის მომენტია (J_1 ძრავასი და J_2 , მუშა მანქანის), კგმ².

გავიხსენოთ, რომ ინერციის მომენტის მნიშვნელობა შესაძ-

ლებელია გამოითვალოს ფორმულით

$$J = m\rho^2, \quad \rho^2 \quad 1.3$$

სადაც m - მბრუნავი ნაწილების მასაა, კგ;

ρ - ინერციის რადიუსი, მ.

თუ გავაწარმოვებთ 1.1 -ს დროის მიხედვით, მივიღებთ

$$P = P_{\text{სტ}} + P_{\text{დ}}, \quad \text{ვტ} \quad 1.4$$

სადაც P , $P_{\text{სტ}}$ და $P_{\text{დ}}$ ენერგიების შესაბამისი სიმძლავრეებია.

თუკი ინერციის მომენტი ცვლადი სიდიდეა, 1.2 გამოსახულების გათვალისწინებით შესაძლოა დაიწეროს

$$P_{\text{დ}} = J\omega \frac{d\omega}{dt} + \frac{\omega^2}{2} \frac{dJ}{dt}; \quad \text{ვტ} \quad 1.5$$

ანალოგიურად, რადგანაც ძრავას მიერ განვითარებული მომენტი და სიმძლავრე დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მუდმივი სიდიდით, ω -თი, იქნება ($P=M\omega$)

$$M = M_{\text{სტ}} + M_{\text{დ}} = M_{\text{სტ}} + J \frac{d\omega}{dt} + \frac{\omega}{2} \frac{dJ}{dt} \quad 6.8 \quad 1.6$$

მიღებულ გამოსახულებას უწოდებენ მოძრაობის ძირითად განტოლებას.

სამთო მანქანების უმეტესობის ინერციის მომენტი მუდმივი სიდიდეა ($J=\text{const}$) და 1.6 გამოსახულება შესაძლოა გამარტივდეს

$$M = M_{\text{нг}} + M_{\text{д}} = M_{\text{нг}} + J \frac{d\omega}{dt} \quad 1.7$$

ამ გამოსახულებებიდან ნათლად ჩანს, რომ დინამიკური მომენტის დაძლევა ძრავას უხდება მხოლოდ აჩქარების (შენელების) პროცესში, ხოლო თანაბარი მოძრაობის რეჟიმში ძრავას მიერ განვითარებული მომენტი მთლიანად ხმარდება მხოლოდ სტატიკური $M_{\text{нг}}$ წინააღმდეგობის დაძლევას.

1.7 გამოსახულებიდან შესაძლებელია განისაზღვროს ამძრავის აჩქარების სიდიდე

$$\varepsilon = \frac{d\omega}{dt} = \frac{M - M_{\text{нг}}}{J}, \text{ რად/წმ}^2 \quad 1.8$$

აშკარაა, რომ $\varepsilon > 0$, ($M > M_{\text{нг}}$), ამძრავის სიჩქარე გაიზრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - შემცირდება.

წრფივად მოძრავი მექანიზმებისათვის, მოძრაობის ძირითადი განტოლება, შემდეგნაირად გამოისახება (აქაც მიღებულია, რომ მოძრავი ელემენტების მასა $m = \text{const}$)

$$F = F_{\text{нг}} + F_{\text{д}} = F_{\text{нг}} + m \frac{dV}{dt} , \text{ ნ} \quad 1.9$$

სადაც F - მამოძრავებელი ძალაა, ნ;

$F_{\text{нг}}$ - სტატიკური წინააღმდეგობის ძალა, ნ;

m - წრფივად მოძრავი ელემენტების მასა, კგ;


V - სისტემის წრფივი სიჩქარე, მ/წმ .

ზემოთ მიღებული მოძრაობის ძირითადი განტოლებები მიღებულია იმ დაშვებით, რომ ძრავასა და მექანიზმის შემაერთებელი გადაცემა იყო აპსოლუტურად ხისტი. სინამდვილეში, ყველა მექანიკურ ელემენტს გააჩნია დრეკადი თვისებები. დადი სიღრმეებიდან საშახტო ამწევებით ტევირთის ამოტანის დროს ამწევი ბაგირის სიხისტის გაუთვალისწინებლობა, დინამიკური პროცესების ან-ალიზისას, დიდ შეცდომამდე მიგვიყვანდა. ასევე, გრძელი ლენტური კონვეირის გაანგარიშებისას, აუცილებელია ლენტის სიხისტის კოეფიციენტის გათვალისწინება, რადგანაც, ზოგიერთ შემთხვევაში, კონვეირის ამუშავებისას ამძრავი ძრავა ანვითარებს ნომინალურ ბრუნვათა რიცხვს, ხოლო დამჭირდებულის, ლენტის დრეკადობის გამო, ჯერ ბრუნვა არც კი დაუწყია.

განვიხილოთ დრეკადი ელემენტით შეერთებული, ორმასიანი სისტემის მოძრაობის ამსახველი განტოლების შედგენა მარტივი ამწევის მაგალითზე (განტოლების შედგენისას, მათემატიკური გარდაქმნების გამარტივების მიზნით, მხედველობაში არ არის მიღებული ბაგირის მასა. მასის გაუთვალისწინებულობა იმოქმედებს მხოლოდ ამონახსნის რიცხვითი მნიშვნელობის სიზუსტეზე, ამონახსნის ფორმა კი იგივე დარჩება).

ძრავას ჩართვის შემდეგ (ნახ. 1.1), m_1 მასის მქონე ამძრავ ბორბალზე მოედება F ძალა, რომელიც იმოქმედებს C სიხისტის კოეფიციენტის მქონე დრეკად ბაგირზე, ეს უკანასკნელი დაიწყებს დეფორმირებას და $X - Y$ სიდიდით, სადაც X -

ამძრავი ბორბლის ზედაპირის ნებისმიერი წერტილის გადაადგილებაა, ხოლო $Y - m_2$ მასის მქონე ტვირთისა.



ნახ. 1.1 ორმასიანი დრეკადელემენტიანი ამძრევი მექანიზმი

ბაგირის წაგრძელების სარჯზე ამ უკანასკნელში აღიძვრება დრეკადობის ძალა და პუქის კანონის თანახმად, იგი ტოლი იქნება $F_{ლ} = C \cdot \Delta = C(X - Y)$. ეს ძალა წინააღმდეგობას უწევს ამძრავი ბორბლის შემობრუნებას და შეიძლება განვიზილოთ როგორც მასზე მოდებული სტატიკური დატვირთვა; მაშინ მოძრაობის განტოლება ამძრავი ბორბლისათვის დაიწერება

$$m_1 \frac{d^2X}{dt^2} = F - F_{სტ} = F - C(X - Y). \quad 1.10$$

m_2 მასის ტვირთისათვის დრეკადობის $F_{ლ}$ ძალა მამოძრავებელს წარმოადგენს და ანალოგიურად 1.10 - ისა

$$m_2 \frac{d^2 Y}{dt^2} = F_{st} - F_{ng} = C(X - Y) - m_2 g \quad 1.11$$

სადაც g - სიმძიმის ძალის აჩქარებაა, $m/\text{წ}^2$.

ამრიგად, შეიძლება დაიწეროს ორმასიანი, დრეკადი ელემენტით შეერთებული სისტემის აღმწერი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ზოგადი სახით (ჩვენ შემთხვევაში $m_2 g = F_{st}$):

$$\begin{cases} m_1 \frac{d^2 X}{dt^2} = F - C(X - Y); \\ m_2 \frac{d^2 Y}{dt^2} = C(X - Y) - F_{st}. \end{cases} \quad 1.12$$

გავყოთ სისტემის პირველი განტოლება $m_1 \cdot \ddot{X}$, მეორე $m_2 \cdot \ddot{Y}$ და ავიღოთ სხვაობა $\Delta = X - Y$, მივიღებთ

$$\frac{d^2 \Delta}{dt^2} + \omega^2 \Delta = \frac{F}{m_1} + \frac{F_{st}}{m_2}, \quad 1.13$$

$$\text{სადაც } \omega^2 = \frac{C(m_1 + m_2)}{m_1 \cdot m_2}, \quad 1/\text{წ}^2 \quad \text{სისტემის რხევის კუთხური}$$

სიხშირეა. 1.13 განტოლებიდან ჩანს, რომ განზიღული ელექტრო-მექანიკური სისტემა კონსერვატიულია, რადგანაც მასზე შემაშფოთებელი ძალის ზემოქმედების შემდეგ სისტემაში აღიძერება ჩაუქრობადადი ω კუთხური სიხშირის (ანუ $T = 2\pi/\omega$ პერიოდის) რხევა. ამავე განტოლებიდან ადგილად განისაზღვრება დრეკად ელემენტში აღძრული დეფორმაციის ძალა -

$$\mathbf{F}_{\text{დრ}} = \mathbf{C} \cdot \Delta = \mathbf{C}(\mathbf{X} - \mathbf{Y}). \quad 1.14$$

შევკრიბოთ 1.12 სისტემაში შემავალი განტოლებები და გამოვთვალოთ $\frac{d^2Y}{dt^2}$. გვიქნება

$$\frac{d^2Y}{dt^2} = \frac{\mathbf{F} - \mathbf{F}_{\text{სტ}}}{m_2} - \frac{m_1}{m_2} \frac{d^2X}{dt^2}. \quad 1.15$$

1.12 სისტემის პირველი განტოლებიდან განვსაზღვროთ Y და ორჯერ გაფართოებული ერთმანეთს 1.15 და 1.16, გვექნება

$$\frac{d^2Y}{dt^2} = \frac{m_1}{C} \frac{d^4X}{dt^4} - \frac{1}{C} \frac{d^2F}{dt^2} + \frac{d^2X}{dt^2}. \quad 1.16$$

თუ გავუტოლებთ ერთმანეთს 1.15 და 1.16, გვექნება

$$\frac{m_1 m_2}{C} \frac{d^4X}{dt^4} + (m_1 + m_2) \frac{d^2X}{dt^2} = \mathbf{F} - \mathbf{F}_{\text{სტ}} + \frac{m_2}{C} \frac{d^2F}{dt^2} \quad 1.17$$

ან

$$\frac{1}{\omega^2} \frac{d^3V_x}{dt^3} + \frac{dV_x}{dt} = a_0 + \frac{1}{\omega^2 m_1} \frac{d^2F}{dt^2}, \quad 1.18$$

ანალოგიურად იქნება m_2 ტგირთვისთვისაც

$$\frac{m_1 m_2}{C} \frac{d^4Y}{dt^4} + (m_1 + m_2) \frac{d^2Y}{dt^2} = \mathbf{F} - \mathbf{F}_{\text{სტ}} - \frac{m_1}{C} \frac{d^2F_{\text{სტ}}}{dt^2}, \quad 1.19$$

ან

$$\frac{1}{\omega^2} \frac{d^3V_y}{dt^3} + \frac{dV_y}{dt} = a_0 - \frac{1}{\omega^2 m_2} \frac{d^2F_{\text{სტ}}}{dt^2} \quad 1.20$$

სადაც,

$$a_0 = \frac{F - F_{n\ell}}{m_1 + m_2}, \quad \partial/\partial^2, \quad 1.21$$

სისტემის საშუალო აჩქარების სიღილეა, ანუ აჩქარების ის სიღილე, რომელიც სისტემას ექნებოდა, ბაგირის სიხისტე უსასრულობის ტოლი რომ ყოფილიყო.

თუკი ძრავას მიერ განვითარებული (F) ბალა (მომენტი) და ($F_{n\ell}$) სტატიკური დატვირთვა მუდმივი სიღილეებია, მაშინ

$$\begin{cases} \frac{1}{\omega^2} \frac{d^3 V_x}{dt^3} + \frac{dV_x}{dt} = a_0; \\ \frac{1}{\omega^2} \frac{d^3 V_y}{dt^3} + \frac{dV_y}{dt} = a_0. \end{cases} \quad 1.22$$

1.22 სისტემის წარმოებულები ოპერაციულ ფორმაში იქნება

$$\begin{cases} \ddot{\bar{V}}_x = P^3 \bar{V}_x - P^2 V_x(0) - PV_x(0) - \dot{V}_x(0) \\ \dot{\bar{V}}_x = P\bar{V}_x - V_x(0) \\ \ddot{\bar{V}}_y = P^3 \bar{V}_y - P^2 V_y(0) - PV_y(0) - \dot{V}_y(0) \\ \dot{\bar{V}}_y = P\bar{V}_y - V_y(0) \end{cases} \quad 1.23$$

აქ $V_x(0)$, $\dot{V}_x(0)$, a $\ddot{V}_x(0)$ - პირველი მასის საწისი სიჩქარე, აჩქარება და ბიძგია (აჩქარების წარმოებული); ანალოგიურად მეორე მასისათვის -

$V_y(0)$, $\dot{V}_y(0)$, a $\ddot{V}_y(0)$ - მეორე მასის საწისი სიჩქარე,

აჩქარება და ბიძგი;

ამუშავების დასაწყისში, სანამ მოძრაობა დაიწყებოდეს, დრეკადობის $F_{\text{დრ}} = C(X - Y)$ გაწონასწორებულია $F_{\text{სტ}}$ ძალით და ამიტომ 1.12 სისტემის პირველი განტოლებიდან $(m_1 \ddot{X} = F - C(X - Y))$

$$m_1 \cdot \ddot{X}(0) = m_1 \cdot \dot{V}_x(0) = F - C(X - Y) = F - F_{\text{სტ}},$$

აქედან

$$\dot{V}_x(0) = \frac{F - F_{\text{სტ}}}{m_1},$$

ხოლო საწყისი სიჩქარისა და ბიძგის მნიშვნელობა უნდა მივიღოთ ნულის ტოლად. 1.12 სისტემის მეორე განტოლებიდან კი გამოდის, რომ $(m_2 \ddot{Y} = C(X - Y) - F_{\text{სტ}})$

$$m_2 \cdot \ddot{Y}(0) = m_2 \cdot \dot{V}_y(0) = C(X - Y) - F_{\text{სტ}} = 0,$$

აქედან -

$$\dot{V}_y(0) = 0.$$

საწყისი პირობების გათვალისწინებით 1.19 სისტემის ამონა-ზენი ოპერაციულ ფორმაში იქნება

$$\begin{cases} \frac{1}{\omega^2} P^3 \bar{V}_x - \frac{1}{\omega^2} P \dot{V}_x(0) + P \bar{V}_x = \frac{a_0}{P}; \\ \frac{1}{\omega^2} P^3 \bar{V}_y + P \bar{V}_y = \frac{a_0}{P}. \end{cases} \quad 1.24$$

საიდანაც

$$\begin{cases} \bar{V}_x = \dot{V}_x(0) \frac{P^2 + C/\omega^2}{P^2(P^2 + \omega^2)}; \\ \bar{V}_y = a_0 \cdot \omega^2 \frac{1}{P^2(P^2 + \omega^2)}. \end{cases} \quad 1.25$$

1.25-ის ორიგინალი


$$\boxed{\begin{aligned} V_x &= a_0 \left[t + \frac{1}{\omega} \cdot \frac{m_2}{m_1} \cdot \sin(\omega \cdot t) \right], \\ V_y &= a_0 \left[t - \frac{1}{\omega} \cdot \sin(\omega \cdot t) \right]. \end{aligned}} \quad 1.26$$

როგორც 1.26 გამოსახულებებიდან ჩანს, სიჩქარეები იცვლებიან სწორხაზობრივი კანონით, რომლებზეც სინუსოიდეებია დამატებული და პროცესს აქვს ჩაუქრობადი ხასიათი.

რეალურ ელექტრომექანიკური სისტემების დრეკად ელემენტებში (ამ შემთხვევაში ამწევ ბაგირში), უეჭველად არსებობენ დისიპატიური (ენერგიის ფანტვის) ძალები ბლანტი ხახუნის სახით და პროცესს ყოველთვის ქრობადი ხასიათი აქვს. ამიტომაც, 1.12 განტოლებათა სისტემაში, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ეს ძალები, მაგრამ სიჩქარეების რხევის პირველი ამპლიტუდა, რომელიც ყველაზე საინტერესოა სისტემაში მაქსიმალური გადატვირთვის ხარისხის შესაფასებლად, მცირედ განსხვავდება რეალური ელექტრომექანიკური სისტემის აღმწერი განტოლებებით მიღებული სიჩქარეების რხევის პირველი ამპლიტუდისაგან.

1.26 სისტემის ამონაზსნების შესაბამის გრაფიკებს ექნებათ

სახე ($V_x = f(t)$ და $V_y = f(t)$)



ნახ. 1.2 ორმასიანი დრეკალებულებიანი სისტემის ამუშავება, როცა $F=const$

1.12 განტოლებათა სისტემა, როდესაც მოძრაობა ბრუნვითა, დაიწერება

$$\begin{cases} J_1 \ddot{\phi}_1 = M - c(\phi_1 - \phi_2); \\ J_2 \ddot{\phi}_2 = c(\phi_1 - \phi_2) - M_{\text{სტ}}. \end{cases} \quad 1.27$$

სადაც J_1 და J_2 - ორმასიანი სისტემის ინერციის მომენტებია;

ϕ_1 და ϕ_2 - შესაბამისად, მობრუნების კუთხეები;

M და $M_{\text{სტ}}$ - ძრავის მიერ განვითარებული მომენტი და

სისტემის სტატიკური მომენტი;

c - დრეკალების სიზისტის კოეფიციენტი.

1.2 წინააღმდეგობის მომენტების სახეები

შეთანხმდნენ, რომ მომენტს, რომელსაც ქმნის საწარმოო მექანიზმი ელექტროძრავის ლილვზე, უწოდონ წ ი ნ ა ა დ მ დ ე გ ო ბ ი ს დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ს ტ ა ტ ი კ უ რ ი მ ო მ ე ნ ტ ი (M_{სტ}). იმისათვის, რომ შესრულდეს მუდმივი სიჩქარით მოძრაობა, საჭიროა ელექტროამძრავმა განავითაროს M_{სტ}-ის ტოლი სიღიღის მომენტი.

წინააღმდეგობის ძალები წარმოიშვებიან სასარგებლო მუშაობის შესრულების დროს და დამოკიდებული არიან საწარმოო პროცესსა და მანქანის კონსტრუქციაზე.

ყველა წინააღმდეგობის მომენტს ყოფენ ორ კატეგორიად:

- 1) რეაქტიულად და 2) აქტიურად ანუ პოტენციალურად.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან ის მომენტები, რომლებიც ხელს უშლიან მოძრაობას ყველა მიმართულებით და იცვლიან ნიშანს მოძრაობის მიმართულების შეცვლისთან ერთად. ასეთი მომენტები იქმნება ზანუნის და არადრეკადი სხეულების ჭიმვის, კუმშვის და გრეხვის ძალებით. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება მომენტები, რომლებიც წარმოიშვებიან სხეულის წონით ან მისი მდგენელით და დრეკადი სხეულების ჭიმვის, კუმშვის და გრეხვის ძალებით. რეაქტიული ძალების საპირისპიროდ, აქტიური ძალები ინარჩუნებენ თავიანთი მოქმედების მიმართულებას მოძრაობის მიმართულების შეცვლის მიუხედავად. ამის გამო, ტკირთის პოტენციალური ენერგიის გაზრდისას (ანუ სხეულის ზემოთ აწევისას), ის-

ინი ზელს უშლიან მოძრაობას (ტვირთების, გალების აწევა) და პირიქით, ეხმარებიან მოძრაობას პოტენციალური ენერგიის შემცირებისას (ტვრთების, გალების ჩაშვება).


ზახუნზე დანაკარგები შეიძლება მიახლოებით იქნეს გათვალისწინებული მანქანის მ.ქ.კ.-ით. თუკი ცნობილია სასარგებლო მუშაობის შესასრულებლად საჭირო სიმძლავრე $P_{სას.}$, მაშინ ელ-ექტროძრავას სიმძლავრე ზახუნზე დანაკარგების გათვალისწინებით იქნება -

$$P = P_{სას.} / \eta . \quad 1.29$$

საშახტო ამწევ მექანიზმებში, შახტის ჭაურში მოძრავი ჭურჭლის ზახუნზე დანაკარგებს ჰაერსა და მოძრაობის მიმმართველებში, ითვალისწინებენ სასარგებლო ტვირთის გაზრდით რაღაც დამატებითი ფიქტური სიდიდით. სატუმბე დანადგარების გაანგარიშებისას, ზოგიერთ შემთხვევაში, სითხის წინააღმდეგობის ძალებს მიღსაღებსა და ხრახნსაცობებში (ვენტილებში), ითვალისწინებენ ასაწევი სითხის სიმაღლის გარკვეული სიდიდით გაზრდით.

სამთო მრეწველობაში გამოყენებული ყველა მანქანა, წინააღმდეგობის მომენტის შეცვლის ზასიათის მიზედით, შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მანქანები, რომელთა წინააღმდეგობის მომენტი მუდმივი სიდიდეა ან იცვლება უმნიშვნელოდ. ასეთებია კულის ბაგირით გაწონასწორებული საშახტო მანქანები, ამწევები, თანაბრად დატვირთული კონვეირები და სხვ.(ნახ. 1.3 ა)



ნახ. 1.3 დატეირთვის მომენტების ცვლილების გრაფიკები

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მანქანები, რომელთა წინააღმდეგობის მომენტი კუთხური სიჩქარის პროპორციულია, ე.ი. $M_{b\varphi} = f(\omega)$. ეს დამოკიდებულება ზოგადი სახით შეიძლება ამგვარად ჩაიწეროს

$$M_{uf} = M_0 + (M_{cof} - M_{uf}) \cdot \left(\frac{\omega}{\omega_{cof}} \right)^a \quad 130$$

სადაც M_0 - მოძრაობის წინააღმდეგობის მომენტია ნულოვანი სიჩქარის დროს; M_{cof} - წინააღმდეგობის მომენტი ნომინალური ფორმის სიჩქარის დროს; a - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს M_{uf} მომენტის ცვლილების ზასიათს სიჩქარის გაზრდის დროს. მისი მნიშვნელობა სხვდასხვა მანქანებისათვის იცვლება $0 \leq a \leq 2$. ამ ჯგუფის მანქანებს ძირითადად მიეკუთვნება ცენტრიდანული მოქმედების მექანიზმები, როგორებიცაა: ცენტრიდანული ვენტილატორები და ტუბმოები, კომპრესორები, ცენტროფუგები და სხვა მექანიზმები, რომელთა დატვირთვის მომენტი სიჩქარის კვადრატის პროპორციულია (ნახ. 1.3 ბ).

მესამე ჯგუფი მოიცავს მანქანებს, რომელთა სტატიკური დატვირთვის მომენტი დამოკიდებულია ძრავის ლილვის მობრუნების კუთხეზე, ე.ი. $M_{uf} = f(\varphi)$. მათ მიეკუთვნება ყველა სახის მრუდ-ხარაბარბაცა და ექსცენტრული მოქმედების მექანიზმები - დგუში-ანი ტუბმოები და კომპრესორები, მერხევი კონვეირები, კუდის ბაგირით გაუწონასწორებული და ცვლადრადიუსიანი საშახტო ამწევი მანქანები, გადამყირავებლები და სხვ. ყველა ამ მანქანის დატვირთვის მომენტი დამოკიდებულია გავლილ გზაზე, ანუ რაც იგი-ვეა, საბოლოო ჯამში, ელექტრომრავას ლილვის მობრუნების კუთხეზე (ნახ. 1.3 გ და დ).

მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება მუშა მანქანები, რომელთა დატვირთვის მომენტი ერთდროულადაა დამოკიდებული როგორც სიჩქარეზე, ისე განვლილ მანძილზე, ე.ი. $M_{სტ} = f(\omega, L)$. ასეთი მანქანებია საშახტო კლექტრული, რელსური, ჭრანსპორტი. მათი წინააღმდეგობის მომენტი ერთი მხრივ პროპორციულია ჰაერის წინააღმდეგობის მომენტისა და მეორე მრივ, გზის პროფილის აღმართ-დაღმართისა და მოსახვევის ხასიათზე (ნახ. 1.3 ე).


შესუთხ ჯგუფს შეადგენენ მანქანები, რომელთა დატვირთვის მომენტი შემთხვევით ხასიათს ატარებს. ასეთ მანქანებს მიეკუთვნება სამთო კომბაინები, ექსკავატორები, საბურღი დანადგარები და სხვ. მათი დატვირთვის მომენტები დამოკიდებულია მემანქანის კვალიფიკაციაზე, მანქანის მჭრელი ორგანოს მუშაობის ხასიათზე, დასამუშავებელი წიაღისეულის თვისებასა და სტრუქტურაზე, რომლებიც ძალზე დიდ ფარგლებში იცვლებიან და სხვ. ასეთი მანქანების დატვირთვის მომენტი განისაზღვრება სტატისტიკური მონაცემების გასაშუალებული მნიშვნელობებით (ნახ. 1.3 გ).

1.3 წინააღმდეგობის მომენტებისა და ძალების,
მასებისა და ინერციის მომენტების დაფვანა
მუშა მანქანების უმეტესობა, საჭიროებს საკმაოდ დაბალ
ბრუნვათა რიცხვებს - 100-300 ბრ/წთ, იმ დროს, როდესაც
ელექტრული ძრავები, ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე,
ძირითადად მზადდება 750 ბრ/წთ-დან 3000 ბრ/წთ-მდე ბრუნვის
სიჩქარით. ელექტრული ძრავას ნომინალური ბრუნვის სიჩქარის
გაზრდა, მუდმივი სიმძლავრის დროს, ამცირებს ძრავას მასას, გა-
ბარიტულ ზომებსა და ფასს. ამავე დროს სწრაფბრუნვიან ძრავებს
გააჩნიათ უფრო მაღალი მ.ქ.კ. და სიმძლავრის კოეფიციენტი, ვიდ-
რე დაბალბრუნვიანს. ყოველივე ამის გამო, დაბალბრუნვიანი მუშა
მანქანის დაკავშირება ელექტრულ ძრავებთან ხორციელდება საშ-
უალებო გადაცემის მეშვეობით, რომელიც ხშირ შემთხვევაში, კბი-
ლანურ რედუქტორს წარმოადგენს.

ამძრავის მოძრაობის განტოლება სამართლიანია იმ პირობ-
ით, როცა ყველა მომენტი მოქმედებს ერთ ლილვზე და სისტემის
ყველა მასა მოძრაობს ერთნაირი სიჩქარით. რედუქტორის არსებო-
ბისას კი, სისტემის ცალკეულ ელემენტებს სხვადასხვა ბრუნვის
სიჩქარე გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, გარდამავალი პროცესის ანგა-
რიშისას, საჭირო გახდებოდა ცალკეული ელემენტებისათვის შეგ-
ვედგინა მოძრაობის განტოლება და შემდეგ ამოგვეზნა ერთად,
მთელი სისტემისათვის, რაც თავის მხრივ, დაკავშირებული იქნებ-
ოდა რთულ, შრომატევად სამუშაოსთან. ანგარიშის გამარტივების
მიზნით, წინააღმდეგობის მომენტები და ძალები, ინერციის მომენ-

ტები და მოძრავი მასები, აგრეთვე ცალკეული ელემენტების სიხ-ისტის კოეფიციენტები, დაპყავთ რომელიმე ელემენტის ბრუნვის ან წრფივ მოძრაობის სიჩქარეზე, უმეტეს შემთხვევაში, ძრავას ბრუნვის სიჩქარეზე.

განვიხილოთ სისტემა, რომელიც შედგება ელექტრული ძრავას, მუშა მექანიზმისა და მათი ურთიერთდამაკავშირებელი ერთსაფეხურიანი კაბილანური რეგულირობისაგან (ნახ. 1.4).



ნახ. 1.4 ამწევი დანადგარის კინგმატიკური სქემა
ზოგადად, ლილვებზე სიმძლავრეების ტოლობის პირობიდან
გამომდინარე, შეიძლება დაიწეროს

$$M_{\text{eff}} \omega_d = M_d \omega_d / \eta_d , \quad 1.31$$

სადაც $M_{\text{სტ}}$ - წინააღმდეგობის სტატიკური მომენტია დაყვანილი ძრავას ლილვზე, ნ.მ; ხოლო M_g - წინააღმდეგობის მომენტი მექანიზმის ლილვზე, ნ.მ; ფარ და ფარა და მექანიზმის კუთხური სიჩქარეები, რად/წმ; η_r - კბილანური გადაკეტის მ.ქ.კ.

1.31- დან გვიჩვეს

$$M_{st} = \frac{M_0}{i \cdot \eta_i} , \quad 1.32$$

სადაც $i = \omega_r / \omega_0$ - რეზუქტორის გადაცემის რიცხვია.

თუ ძრავის ლილვსა და მუშა მექანიზმს შორის რამოდენიმე საშუალებო გადაცემაა ($i_1 \cdot i_2 \cdots i_k$), შესაბამისი მ.ქ.კ.-ებით ($\eta_{r1} \cdot \eta_{r2} \cdots \eta_{rk}$), მაშინ შეიძლება დაიწეროს

$$M_{st} = \frac{M_0}{i_1 \cdot i_2 \cdots i_k \cdot \eta_{r1} \cdot \eta_{r2} \cdots \eta_{rk}} \quad 1.33$$

1.32 და 1.33 გამოსახულებები სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როცა ამძრავი მუშაობს ძრავულ რეჟიმში და დანაკარგები დაიფარება თვით ძრავას მიერ. სამუხრუჭე რეჟიმში, როცა ენერგია მუშა მექანიზმის ლილვიდან ძრავს გადაეცემა, მ.ქ.კ. სიღილე ფორმულაში მნიშვნელიდან მრიცხველში გადადის. მაგალითად, 1.32 გამოსახულება ამ შემთხვევაში მიიღებს სახეს

$$M_{st} = M_0 \eta_r / i_r . \quad 1.34$$

ყველა ტვირთამწე მანქანებს, გარდა მბრუნავი ნაწილებისა (ძრავას ღუზა ან როტორი, რეზუქტორის კბილანები, დოლი და სხ.), გააჩნიათ წინსელით მოძრავი ელემენტები (გალი, სკიპი, ტვირთი და სხვ.). გაანგარიშისას, მათი დაყვანა რომელიმე სახის მოძრაობაზე ხდება. სიმძლავრეთა ტოლობიდან გამომდინარე

$$M_{st} \omega_r = F_{st} V_0 / \eta_r \quad 1.35$$

აქედან

$$M_{\text{სტ}} = \frac{F_{\text{სტ}} V_d}{\omega_{\text{გრ}} \eta_{\text{რ}}} \quad 1.36$$

სადაც V_d -- მექანიზმის სიჩქარეა, $\text{მ}/\text{წმ}$.

თუკი ძრავა სამუხრუჭე რეჟიმში მუშაობს, იქნება

$$M_{\text{სტ}} = \frac{F_{\text{სტ}} V_d \eta_{\text{რ}}}{\omega_{\text{გრ}}} \quad 1.37$$

სისტემებში, რომლებსაც გააჩნიათ საშუალებო გადაცემები, წინააღმდეგობის მომენტების მსგავსად ხდება ინერციის მომენტების დაყვანა. საერთოდ, რომელიმე სიდიდის დაყვანა რეალური სისტემის კინეტიკური ენერგია აუცილებლად ტოლი იყოს დაყვანილი სისტემის კინეტიკური ენერგიისა.

ნახ. 1.4-ზე წარმოდგენილი ამწე დანადგარის რეალური კინეტიკური ენერგია გამოისახება

$$W_{\text{რეალ}} = J_{\text{გრ}} \frac{\omega_{\text{გრ}}^2}{2} + J_1 \frac{\omega_1^2}{2} + J_{\text{ღ}} \frac{\omega_{\text{ღ}}^2}{2} + m \frac{V^2}{2}, \quad 1.38$$

დანადგარის დაყვანილი კინეტიკური ენერგია (ძრავის ლილები) ტოლი იქნება

$$W_{\text{დაყ}} = J_{\text{დაყ}} \frac{\omega_{\text{გრ}}^2}{2}. \quad 1.39$$

სადაც $J_{\text{დაყ}}$ -- დაყვანილი ინერციის მომენტია.

თუ გავითვალისწინებთ, პირობის თანახმად, რომ $W_{\text{რეალ}} = W_{\text{დაყ}} \text{ და } \text{მიღებულ } \text{ გამოსახულებას } \text{ გავყოფთ } \omega_0^2 - \dot{\theta}^2$,
გვექნება

$$J_{\text{დაყ}} = J_0 + J_1 \frac{\omega_1^2}{\omega_0^2} + J_2 \frac{\omega_2^2}{\omega_0^2} + m \frac{V^2}{\omega_0^2} \quad 1.40$$

უკანასკნელ გამოსახულებაში შევცვალოთ ω_0^2 / ω_1^2 და
 ω_0^2 / ω_2^2 სიდიდეები შესაბამისი გადაცემის რიცხვებით ძრავას
ლილვსა და ცალკეულ მბრუნავ ელემენტებს შორის i_1 და i_2 -
ით და საბოლოოდ გვექნება

$$J_{\text{დაყ}} = J_0 + J_1 \frac{1}{i_1^2} + J_2 \frac{1}{i_2^2} + m \frac{V^2}{\omega_0^2} \quad 1.41$$

ამრიგად, ძრავის ლილვზე დაყვანილი ინერციის მომენტის
ცნებაში იგულისხმება ისეთი ექვივალენტური მქნევარას ინერციის
მომენტი, რომელიც ბრუნავს ძრავის ბრუნვის სისტერით და რომ-
ელსაც აქვს რეალურად მბრუნავი სისტემის ტოლი კინეტიკური
ენერგია.

1.4 ელექტროამძრავების ამუშავებისა და დამუხრუჭების დროის განსაზღვრა

ამუშავებისა და დამუხრუჭების დროის ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის საჭიროა მოძრაობის ძირითადი გატოლებიდან გამოითვალის dt მნიშვნელობა და შემდეგ მოხდეს მისი ინტეგრება. თუკი ძრავის მიერ განვითარებული M მომენტი, ინერციის მომენტი J და დატვირთვის $M_{\text{სტ}}$ მომენტი ამუშავების დროის განმავლობაში შეიძლება მუდმივ სიღიდეებად ჩაითვალის, მაშინ 1.7- დან იქნება

$$t_{\text{ამ}} = \int_0^{\omega_{\text{სტ}}} J \frac{d\omega}{M - M_{\text{სტ}}} = J \frac{\omega_{\text{სტ}}}{M - M_{\text{სტ}}}, \quad 1.42$$

სადაც ვსტ - სტატიკური $M_{\text{სტ}}$ მომენტის შესაბამისი კუთხური სიჩქარეა, რაც/წმ;

$t_{\text{ამ}}$ - ამუშავების დროის ხანგრძლივობაა სიჩქარის ნულოვანი მნიშვნელობიდან ვსტ მნიშვნელობამდე, წმ. როცა დატვირთვის მნიშვნელობა $M_{\text{სტ}}=0$, მაშინ

$$t_{\text{ამ}} = J \frac{\omega_0}{M} .$$

მექანიზმის დამუხრუჭების დრო კი იქნება

$$t_{\text{დამ}} = \int_{\omega_{\text{სტ}}}^0 J \frac{d\omega}{-M - M_{\text{სტ}}} = J \frac{\omega_{\text{სტ}}}{M + M_{\text{სტ}}}$$

თავი II

მექანიკური მახასიათებლები და ელექტროამძრავის სამუშაო რეჟიმები

2.1 მექანიკური მახასიათებლები

ელამძრავის მუშაობა, როგორც მოძრაობის ძირითადი განტოლებიდან ჩანს, განისაზღვრება ძრავას მომენტისა და მუშა მანქანით შექმნილი დატვირთვისაგან. ძრავას მუშაობის დასახასიათებლად გამოიყენებუნ ეწ. ძ რ ა ვ ა ს მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მ ა ს ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ს. იგი წარმოადგენს ძრავას კუთხური სიჩქარის დამოკიდებულებას მის მიერ განვთარებული მომენტისა-გან- ფ = $f(M)$; ასევე განიხილავენ მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი ს მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მ ა ს ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ს, რომელიც აღგენს მექანიზმის მიერ ძრავას ლილვზე შექმნილი წინაღობის მომენტის დამოკიდებულებას ბრუნვის სიჩქარისაგან $M_{\text{სტ}} = \varphi'(f)$. რადგან, როგორც წესი, ძრავასა და მექანიზმის მექანიკური მახასიათებლები ერთად განსაზღვრავენ მუშაობის რეჟიმს, უფრო მოსახერხებელია წარმოვადგინოთ მექანიზმის მექანიკური მახასიათებლი, როგორც ძრავას სიჩქარის დამოკიდებულება მის ლილვზე დაყვანილი სტატიკური მომენტისაგან. ანუ მექანიზმის მექანიკური მახასიათებლი გამოისახება ფუნქცით ფ = $f'(M_{\text{სტ}})$. ამ დამოკიდებულებებს ელექტროამძრავების დამყარებული მუშაობის რეჟიმისათვის უწოდებენ ს ტ ა ტ ი კ უ რ მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მ ა ს ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ს.

სტატიკურ მექანიკურ მახასიათებელს უწოდებენ ბ უ ნ ე ბ
რ ი ვ ს, როდესაც ძრავა ჩართულია ნომინალურ პარამეტრებიან
ქსელთან და როდესაც მისი ღუზის (როტორის) წრედში დამატე-
ბითი წინაღობა არ არის ჩართული. სხვა დანარჩენ პირობებში, მა-
გალითად ნომინალურისაგან განსხვავებული ძაბვისა და სიხშირის,
ღუზის (როტორის) წრედში წინაღობის ჩართვის შემთხვევაში და
სხვა - უწოდებენ ხ ე ლ ო ვ ნ უ რ მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ
ე ბ ს.


ძრავას ჭიბისა და ჩართვის სქემის მიხედვით, მისი ბრუნვის
სიჩქარე, სტატიკური დატვირთვის შეცვლით, სხვადასხვანაირად
შეიცვლება. სიჩქარის შეცვლის შეფასებისათვის შემოღებულია
სტატიკური მექანიკური მახასიათებლის სიხისტის ცნება, რომელ-
იც განისაზღვრება $\beta = \frac{\text{d}M}{\text{d}\omega} \approx \frac{\Delta M}{\Delta \omega}$, ნ.მ.წმ

ხშირ შემთხვევაში, სიხისტის კოეფიციენტი უარყოფითი სიდ-
იდეა და ამის გამო, მექანიკური მახასიათებლის შეფასებისათვის,
სარგებლობენ მისი აბსოლუტური მნიშვნელობით.

სიხისტის მიხედვით ანსხვავებენ შემდეგი სახის მახასიათე-
ბლებს:

ა) ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ხ ი ს ტ ი მ ა ხ ა ს ი ა
თ ე ბ ე ლ ი - $\beta = \infty$; (ნახ 2.1, 1-) . ასეთი მახასიათებლის

დროს, ამძრავის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია დატვირთვის ცვალებადობისას. იგი გააჩნიათ სინქრონულ ძრავებს.




ნახ. 2.1 ელექტროძრავას სტატიკური მექანიკური მახასიათებლები

ბ) ს ი ს ტ ი მ ა ზ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ; (ნახ. 2.1, 2-3-) დატვირთვის შეცვლისას უმნიშვნელოდ იცვლება ამძრავის სიჩქარე. ასეთი მახასიათებლები გააჩნიათ დამოუკიდებელ (პარალელურ) აგზნებიან მუდმივი დენის ძრავებს და ასინქრონულ ძრავებს მახასიათებლის მუშა შტოზე.

გ) რ ბ ი ლ ი მ ა ზ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი , ასეთი მახასიათებლის დროს დატვირთვის ცვალებადობა სიჩქარის დიდ ფარგლებში ცვალებადობას იწვევს და გააჩნიათ მუდმივი დენის მიმდევრობით აგზნებიან ძრავებს (ნახ. 2.1, 4).

ელექტროძრავას ტიპისა და მართვის ზერხის სწორი შერჩევისათვის საჭიროა ცნობილი იყოს მუშა მანქანის აღმასრულებელი ორგანოს მექანიკური მახასიათებელი $\omega = f(M_{\text{სტ}})$.

ნახ. 2.2 - ზე მოცემულია სხვადასხვა ტიპის მანქანის მექანიკური მახასიათებლები: 1-- $M_{\text{სტ}} = \text{const}$; 2- მუდმივი დენის გენერატორი; 3- ვენტილატორი.



ნახ. 2.2 სხვადასხვა სახის მუშა მანქანის მექანიკური მახასიათებლი ცნობილია, რომ ყველა ელექტრულ მანქანას შეუძლია იმუშავოს როგორც ძრავულ, ისე გენერატორულ რეჟიმში. ძრავულ რეჟიმში, მანქანის ლილვზე შეიქმნება მაბრუნებელი მომენტი, რომელსაც მოძრაობაში მოპყავს მუშა მექანიზმი ანუ ამ რეჟიმში ელექტრული ენერგია გარდაიქმნება მექანიკურად. გენერატორულ რეჟიმში მანქანის მიერ განვითარებული მომენტი მიმართულია მოძრაობის საწინააღმდევოდ, უშლის ზელს მოძრაობას და მოქმედებს მუშა მექანიზმზე დამამუხრუჭებლად, ანუ ამ რეჟიმში მექანიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულ ენერგიად და ქსელს უბრუნდება ან იფანტება სითბოს სახით. ელექტრული ძრავებით მუშა მექანიზმების ელექტრულად დამუხრუჭებას მიმართავენ: საწარმოო

მექანიზმების სწრაფი გაჩერებისათვის, ამწე დანადგარებში ტვირთის ჩამოვალისათვის, მუშა თრგანოს ზუსტი გაჩერებისათვის და სხვ.

ელექტროძრავას ჩართვის სქემისა და ამძრავის მუშაობის პირობებისაგან დამოკიდებულებით ელექტრული (გენერატორული) დამუხრუჭების რეჟიმი იყოფა რ ე კ უ პ ე რ ა ც ი უ ლ, დ ი ნ ა მ ი კ უ რ და უ კ უ ჩ ა რ თ ვ ი თ დამუხრუჭების რეჟიმებად.

2.2 ელექტროამძრავების სტატიკური მდგრადობა

ელექტრომექანიკური სისტემა მუშაობის დროს უნდა იყოს სტატიკურად მდგრადი. აგრეგატის მუშაობის სტატიკურ მდგრადობაში იგულისხმება უნარი, დაუბრუნდეს იგი მდგრადი წონასწორობის მდგომარეობას მას შემდეგ, როცა იგი გამოყვანილი იქნება ამ მდგომარეობიდან გარეშე ძალით (შემფოთებით). წონასწორობის სტატიკური პირობა განისაზღვრება ძრავასა და საწარმოო მექანიზმის მექანიკური მახასიათებლის ფორმით.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მექანიზმის მომენტი არ არის დამოკიდებული სიჩქარეზე (ნახ. 3.3 1-), ხოლო ამძრავ ძრავად გამოყენებულია ასინქრონული მანქანა, რომლის მექანიკური მახასიათებელი 2- მრუდითაა წარმოდგენილი. ძრავას მიერ განვითარებული M მომენტის დროს, რომელიც მექანიზმის სტატიკური დატვირთვის მომენტის $M_{სტ}$ -ის ტოლია, ამძრავი მუშაობს თან დამყარებული სიჩქარით მექანიკური მახასიათებლების გადა-

კვეთის a წერტილში. თუკი რაღაცა შემაშფოთებელი ზემოქმედებით ამძრავის სიჩქარე შემცირდება $\Delta\omega$ სიდიდით და ω_1 შნიშვნელობამდე, გაიზრდება ძრავას მიერ განვითარებული მომენტი M_1 მნიშვნელობამდე. რადგანაც მექანიზმის მომენტი ისევ M_{st} -ის ტოლი დარჩა, აღიძვრება დადებითი დინამიკური მომენტი $M_d = M_1 - M_{st}$, რომელიც აიძულებს ამძრავს აჩქარდეს მანამ, სანამ სიჩქარე ისევ არ გაუტოლდება ვსტ-ს. თუკი სიჩქარე გაიზრდება $\Delta\omega$ -თი ვსტ-ის ზემოთ, წარმოიშვება უარყოფითი დინამიკური მდგრენელი და ამძრავის სიჩქარე კვლავ გაზღება ვსტ-ის ტოლი. გამოდის, რომ a წერტილში მუშაობისას პროცესი სტატ-იკურად მდგრადია.

დინამიკური მომენტის ფარდობას, სიჩქარის ვარდნის $\Delta\omega$ სიდიდესთან, უწოდებენ მ დ გ რ ა დ ო ბ ი ს კოეფიციენტს

$$K_{\theta_d} = M_d / \Delta\omega = \Delta M / \Delta\omega$$


ჩვენს მიერ განხილულ a წერტილისათვის, ორივე შემთხვევაში (სიჩქარის შემცირებისა და მომატების დროს), მდგრადობის კოეფიციენტი უარყოფითი სიდიდეა

$$K_{\theta_d} = M_d / \Delta\omega = (M_1 - M_{st}) / (\omega_1 - \omega_{st}) < 0.$$

მუშაობის დამყარებულ რეჟიმს ანუ მექანიკური მახასიათებლების გადაკვეთას ადგილი აქვს b წერტილშიც, სადაც დაცუ-

ლია პირობა $M = M_{\text{სტ}}$, მაგრამ, განსხვავებით a წერტილისა, სიჩქარის მომატებას $\Delta\omega$ სიდიდით მოჰყვება დინამიკური მომენტის გაზრდა, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გაზრდის ამძრავის სიჩქარეს. პირიქით შემთხვევაში, $\Delta\omega$ სიდიდით სიჩქარის შემცირებას, მოჰყვება დინამიკური მომენტის უარყოფითი მნიშვნელობა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სიჩქარის შემცირებას. b წერტილისათვის ორივე შემთხვევაში

$$K_{\theta \text{დ}} = M_{\text{დ}} / \Delta\omega = (M_1 - M_{\text{სტ}}) / (\omega_1 - \omega_{\text{სტ}}) > 0$$




ნახ. 2.3 სტატიკური მდგრადობის განსაზღვრა ძრავას მექანიკური მახასიათებლით
ამრიგად, ამძრავის მუშაობის სტატიკური მდგრადობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ

$$K_{\theta \text{დ}} = M_{\text{დ}} / \Delta\omega < 0.$$

ასინქრონული ძრავას არამდვრად შტოზე სტატიკური მდგრადობა შესაძლებელია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუკი საწარმოო მექანიზმის სტატიკური დატვირთვა ვენტილატორული ზასიათისაა- $M_{სტ} = f(\omega^2)$ (ნახ. 2.4). ამ შემთხვევაში სტატიკური მდგრადობის კოეფიციენტი

$$K_{გდ} = M_{დ} / \Delta\omega = (\beta - \beta_{სტ}) \cdot \Delta\omega / \Delta\omega = \beta - \beta_{სტ} < 0$$


აღსანიშნავია, რომ ძრავას არამდვრად შტოზე მუშაობა, განხილულ შემთხვევაში, გამოიწვევს ძრავას გადახურებას.



ნახ. 2.4 სტატიკური მდგრადობის განსაზღვრა მექანიზმის
მექანიკური მახსინათვებლით

2.3 მუდმივი დენის დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები

მუდმივი დენის მანქანების მუშაობის რეჟიმის აღმწერ განტოლებას, მიუხვდავად მათი აგზნების გრაფიკის დუზასთან ერთად ქსელთან მიერთების სხვადასხვა სქემისა, ერთნაირი ფორმა გააჩნია. აგზნების გრაფიკილი კი დუზასთან შეიძლება მიერთდეს პარალელურად (ანუ დამოუკიდებლად), მიმდევრობით და მიმდევრობით-პარალელურად. ამ ბოლო შემთხვევაში ძრავას ორივე სახის აგზნების გრაფიკილი გააჩნია. შესაბამისად, ძრავას უწოდებენ პარალელურ (დამოუკიდებელ) აგზნებიანს, მიმდევრობით - და შერეულ აგზნებიანს. მექანიკური მახასიათებლის ანალიზური გამოსახულება დამყარებულია ძაბვის ბალანსის განტოლებაზე.



ნახ. 2.5 დამოუკიდებელ აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავას ჩართვის სქემა
მუდმივი დენის დამოუკიდებელ (პარალელურ) აგზნებიან
ძრავას ქსელთან მიერთების პრინციპული სქემა ასეთია (ნახ. 2.5)
სადაც - LM - აგზნების გრაფიკია, R_{dg} აქტიური წინაღობით;

R_{k1} - აგზნების გრაგნილში დენის სარეგულირებელი რეოსტატი;

M - ძრავას ღუზა, R_L აქტიური წინაღობით;

R_{k2} - ღუზის წრედში დენის სარეგულირებელი რეოსტატი;

მაბეჭის ბალანსის განტოლებას ღუზის წრედში აქვს სახე

$$U = I_L R_L + E_L \quad 2.1$$

სადაც U - მაბეჭა ძრავას მომჭერებზე, ვ;

I_R - ღუზის წრედის დენი, ა;

R_L - ღუზის წრედის სრული წინაღობა (რეო-

სტატის ჩათვლით), ომი;

E_L - ღუზაში აღძრული ე.მ.ძ., ვ.

ღუზის ე.მ.ძ. განისაზღვრება ფორმულით

$$E_L = \frac{pN}{2\pi a} \Phi \omega = K\Phi \omega = C\omega, \quad 2.2$$

სადაც $K = \frac{pN}{2\pi a}$ - ძრავას კონსტრუქციულობის კოეფიციენტია და მუდმივია, თუკი ძრავა კომპენსირებულია; p მთავარი პოლუსების რიცხვია; N გამტარების რიცხვი და a - ღუზის გრაგნილის პარალელური გამტარების რიცხვი;

Φ - ძრავას მაგნიტური ნაკაღი, ვბ;

ω - ღუზის ძრუნვის სიჩქარე, რად/წმ.

C - ძრავას კოეფიციენტი.

თუ ჩავსევავთ E_{R} -ს მნიშვნელობას 2.2 -დან 2.1-ში, მივიღებთ

$$U = I_{\text{R}} R_{\text{R}} + K\Phi \omega \quad 2.3$$

2.3- დან განვსაზღვროთ რ - ს მნიშვნელობა და მივიღებთ
ეს კ ტ რ ო მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი მ ა ზ ა ს ი ა თ ე ბ
ლ ი ს ანალიზურ გამოსახულებას

$$\omega = \frac{U - I_{\text{R}} R_{\text{R}}}{K\Phi} = \frac{U}{K\Phi} - \frac{R_{\text{R}}}{K\Phi} I_{\text{R}} = \frac{U}{C} - \frac{R_{\text{R}}}{C} I_{\text{R}}. \quad 2.4$$

მუდმივი დენის ძრავას ელექტრომაგნიტური მომენტი განისაზღვრება ფორმულით

$$M = \frac{\rho N}{2\pi a} \Phi I_R = K\Phi I_R = C I_R, \quad 6.3. \quad 2.5$$

ძრავას ლილვზე მომენტი განსხვავდება სიდიდით ელექტრო-
მაგნიტური მომენტისაგან, თვითონ ძრავაში მექანიკური და ძრავას
ფოლადში თბური დანაკარგების გამო. ძრავულ რეჟიმში მომენტი
ლილვზე ყოველთვის ნაკლებია ელექტრომაგნიტურზე, ხოლო გე-
ნერატორულში - მეტი. რადგანაც ეს მომენტები მხოლოდ (2...5)
% -ით განსხვავდებიან ნომინალურისაგან, მიახლოებით თვლიან,
რომ მომენტი ძრავას ლილვზე ელექტრომაგნიტურის ჭოლია.

მაბრუნებელი მომენტის ნიშანი, 2.5 გამოსახულების მიხედ-
ვით, დამოკიდებულია ღუზის დენის ან მაგნიტური ნაკადის ნიშან-
ზე, ამის გამო, ძრავის ბრუნვის მიმართულების შეცვლისათვის
(რევერსირებისათვის), რასაც იწვევს მომენტის ნიშნის შეცვლა,

საჭიროა შეიცვალოს მაგნიტური ნაკადის მიმართულება, ან ღუზაზე ძაბვის პოლარობა. ღუზის დენის მნიშვნელობის ჩასმით 2.5-დან 2.4- ში, მივიღებთ მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ი ს გამოსახულებას

$$\omega = \frac{U}{K\Phi} - \frac{R_R}{K^2\Phi^2} M = \omega_0 - \frac{1}{\beta} M \quad , \quad 2.6$$

$$\text{სადაც } \beta = \frac{K^2\Phi^2}{R_L} = \frac{C^2}{R_L} \quad - \text{ მექანიკური მახასიათებლის სი-}$$

ნისტის კოეფიციენტია, რაზეც დამოკიდებულია თვით მახასიათებლის დახრა.

თუ გავამრავლებთ 2.1 გამოსახულების ორივე მხარეს I_R -ზე, მივიღებთ

$$UI_L = E_L I_R + I^2 L R_L \quad 2.7$$

ან

$$P_1 = P_{\beta} + \Delta P, \quad 2.8$$

სადაც $P_1 = UI_L$ - ძრავას მიერ ქსელიდან მოთხოვნილი სიმძლავრეა;

$P_{\beta} = EI_R$ - ძრავას ღუზაში შექმნილი ელექტრომაგნიტური სიმძლავრე;

$\Delta P = I^2 L R_L$ - ღუზის წრედში თბური დანაკარგების სიმძლავრე.

2.2- სა და 2.7- ის გათვალისწინებით ელმაგნიტური სიმძლავრე შესაძლოა შემდეგნაირადაც დაიწეროს

$$P_{\vartheta} = E_{\varnothing} I_{\varnothing} = C_{\omega} I_{\varnothing} = M_{\omega}. \quad 2.9$$

თუკი ძრავას მომენტი და ბრუნვის სიჩქარე ერთი მიმართულებისაა, მაშინ ხდება ელექტრული ენერგიის გარდაქმნა მექანიკურად, ანუ ძრავა მუშაობს ძრავულ რეჟიმში. ძრავას მ.ქ.კ. მექანიკური და აგზნების გრაგნილში თბური დანაკარგების გაუთვალისწინებლად

$$\eta = \frac{P_{\vartheta}}{P_1} = \frac{P_1 - \Delta P}{P_1} = 1 - \frac{I_{\varnothing} \cdot R_{\varnothing}}{U_{\varnothing}} \quad 2.10$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ღუზის წრედის წინაღობის გაზრდით, ამძრავის მ.ქ.კ. მცირდება.

ძაბვის, მაგნიტური ნაკადისა და ღუზის წრედის ნომინალური მნიშვნელობების დროს, ბრუნვის სიჩქარეც ნომინალური იქნება

$$\omega_6 = \frac{U_6 - I_{\varnothing} R_{\varnothing}}{K \Phi_6}. \quad 2.11$$

ძრავზე სასარგებლო დატვირთვისა და ენერგიის დანაკარგების არ არსებობისას სისტემაში ღუზის დენის მნიშვნელობა ნულის ტოლია და ღუზის ბრუნვის სიჩქარე, რომელსაც ასეთ შემთხვევაში იდეალურს უწოდებენ - ω_0 , დამოკიდებულია მხოლოდ ძაბვისა და მაგნიტური ნაკადის ნომინალურ მნიშვნელობებზე

$$\omega_0 = \frac{U_6}{K\Phi_6} = \frac{U_6}{C}. \quad 2.12$$

ასეთი ბრუნვი სიჩქარის დროს ე.მ.ძ. და ქსელის ძაბვა ერთ-მანეთის ტოლია.

ელექტრომექანიკური მახასიათებელი, 2.12 -ის გათვალისწინებით, შესაძლოა წარმოვადგინოთ

$$\omega = \omega_0 - \frac{I_{\text{ღ}} R_{\text{ღ}}}{K\Phi} = \omega_0 - \frac{I_{\text{ღ}} R_{\text{ღ}}}{C}, \quad 2.13$$

ზოლო მექანიკური მახასიათებელი

$$\omega = \omega_0 - \frac{R_{\text{ღ}}}{K^2 \Phi^2} M = \omega_0 - \frac{R_{\text{ღ}}}{C^2} M. \quad 2.14$$

სხვაობას, ($\omega_0 - \omega$)-ს, დღელურ უქმი სვლის ბრუნვის სიჩქარესა და დატვირთვის შესაბამის ბრუნვის სიჩქარეს შორის, უწოდებენ სტატიკურ ბრუნვის სიჩქარის ვარდნას- $\Delta\omega$. ელექტრო-მექანიკური მახასიათებლისათვის $\Delta\omega = \frac{R_{\text{ღ}} I_{\text{ღ}}}{C}$, ზოლო მექანიკური

$$\text{მახასიათებლისათვის } \Delta\omega = \frac{R_{\text{ღ}} M_{\text{ღ}}}{C^2}.$$

ამ უკანასკნელთა გათვალისწინებით, დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებელი ზოგადი სახით იქნება


$$\omega = \omega_0 - \Delta\omega. \quad 2.15$$

რადგანაც ბრუნვის სიჩქარის ვარდნა, $\Delta\omega$, პირდაპირპროპორ-ციულია მომენტისა და დენისა, მექანიკური და ელექტრომექანიკური მახასიათებლები წარმოადგენენ წრფვებს.

იდეალური უქმი სვლის ბრუნვის სიჩქარე, შეიძლება გან-
ისაზღვროს (2.12 -ის შეფარდებით 2.11 -თან) ფორმულით

$$\omega_0 = \omega_b \frac{U_b}{U_b - I_{d.b} \cdot R_d} \quad 2.16$$

სადაც $U_b, I_{d.b}$ და ω_b - შესაბამისად ძრავას ნომინალური საპას-
პორტო მონაცემებია. თუკი ცნობილი იქნება ω_0 , ნომინალური
მომენტი M_b და ასევე მისი შესაბამისი ბრუნვის სიჩქარე ω_b ,
ე.ი. წრფის ორი წერტილი, შესაძლებელია აიგოს ბუნებრივი
მექანიკური მახასიათებელი.



ნახ. 2.5 დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას ბუნებრივი მექანიკური
მახასიათებლი

ამძრავის გაანგარიშებისას გამოიყენებენ ე.წ. ღუზისა და რო-
ტორის ნომინალური წინაღობის ცნებას. ნომინალური წინაღობა
ეწოდება წინაღობის ისეთ სიდიდეს, რომელიც შედგება ღუზის
(როტორის) საკუთარი და გარედან მიერთებული წინაღობების ჯა-
მისაგან და რომელიც ქსელის ძაბვის ნომინალური მნიშვნელობისა

და გაჩერებული ღუზის (როტორის) დროს უზრუნველყოფს ძრავას ას ღუზაში (როტორში) ნომინალური დენის გავლას.

მუდმივი დენის ძრავაში

$$R_{\text{ნომ}} = \frac{U_{\text{ნომ}}}{I_{\text{ნომ}}},$$

ხოლო ცვლადი დენის ძრავაში


$$R_{2\text{ნომ}} \approx Z_{2\text{ნომ}} = \frac{E_{2\text{ნომ}}}{\sqrt{3} I_{2\text{ნომ}}},$$

სადაც $E_{2\text{ნომ}}$ უძრავი როტორის უკუ ე.მ.ძ.-აა სტატორის ნომინალური ძაბვის დროს, ვ;


$I_{2\text{ნომ}}$ - როტორის ნომინალური დენია, ა;

ხელოვნური მახასიათებლების მიღება შესაძლებელია ძრავზე ძაბვის ცვლილებით, აგზნების ნაკადის შეცვლითა და ღუზის წრედში წინაღობის დამატებით. ბოლო შემთხვევას უწოდებენ აგრეთვე რ ე ო ს ჭ ა ჭ უ ლ მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ს. როგორც 2.12 და 2.14 გამოსახულებებიდან ჩანს, ძრავზე ძაბვის შეცვლით იცვლება მხოლოდ იდეალური უქმი სვლის ბრუნვის სიჩქარე და, ხოლო მახასიათებლის დახრა, ანუ სიხისტის კოეფიციენტი, მუდმივი რჩება. ამის გამო, სხვადასხვა ძაბვების შესაბამისი მახასიათებლები, ბუნებრივი მახასიათებლის პარალელურები იქნებიან (ნახ. 2.6 ა)). თუ ღუზის წრედში ჩაირთვება დამატებითი წინაღობა R_d , მაშინ ძრავა იმუშავებს რეოსტატულ მახასიათებლზე. ნულოვანი დატვირთვის დროს, იგი იბრუნებს იდეალური

ბრუნვის სიჩქარით და დამოკიდებული არ იქნება ღუზის წრევის წინაღობაზე (იხ. ფორმულა 2.14) (ნახ. 2.6 ბ))



ნახ. 2.6 დამოკიდებულ აგზებანი ძრავას ხელოვნური მექანიკური მახასიათებლები სხვადასხვა ძაბვისა და წინაღობის დროს მაგნიტური ნაკადის შეცვლით იცვლება როგორც იდეალური უქმი სკლის ბრუნვის სიჩქარე $\dot{\omega}_0$, ასევე მახასიათებლის დაზრა. ნულოვანი სიჩქარის დროს, ღუზის დენი ტოლია მოკლედ შერთვის (მ.შ.) დენისა $I_{\text{გ.შ.}} = \frac{U_0}{R_E}$, რომელიც არ არის დამოკიდებული მაგნიტურ ნაკადზე, ამიტომ ელექტრომექანიკური მახასიათებლები, სხვადასხვა მაგნიტური ნაკადის დროს, გადაიკვეთებიან ერთ წერტილში, რომელიც მ.შ დენს შეესაბამება (ნახ. 2.7 ა). მოკლედ შერთვის მომენტი $M_{\text{გ.შ.}} = K\Phi I_{\text{გ.შ.}}$, ღუზის დენისაგან განსხვავებით, დამოკიდებულია მაგნიტურ ნაკადზე და ამის გამო მექანიკური მახასიათებლები მომენტის დერძს სხვადასხვა წერტილში გადაკვეთენ (ნახ. 2.7 ბ).



ნახ. 2.7 ძრავას ზელოვნური მექანიკური მახასიათებლები სხვადასხვა ნაკადის დროს

მექანიკური მახასიათებლები სამუხრუჭე რეჟიმებში. ძალიან წშირად, თანმედროვე ელექტროამძრავში, აუცილებელია როგორც საწარმოო მექანიზმის სწრაფად და ზუსტად გაჩერება, ასევე მისი რევერსი და ტვირთის ჩაშვება. ყველა ამ შემთხვევაში, ძრავა აუცილებლად უნდა გადავიდეს გენერატორული დამუხრუჭების რომელიმე სახის რეჟიმში, ამძრავში დაგროვილი კინეტიკური ენერგია ან ტვირთის ჩაშვებისას პოტენციური ენერგიის ნაზრდი გარღაქმნას ელექტრულ ენერგიად და იმის მიხედვით, თუ რომელ რეჟიმში მუშაობს, ან უკან მიაწოდოს ქსელს, ან გამოჰყოს სითბოს საწით გარემოში.

ელექტრული დამუხრუჭება სამი სახისაა: 1) ენერგიის ქსელში გადაცემით (რეკუპერაციული); 2) დინამიკური დამუხრუჭება; 3) უკუჩართვითი დამუხრუჭება.

განვიხილოთ დაწვრილებით მექანიკური მახასიათებლების თავისებურებანი აღნიშნული დამუხრუჭების რეჟიმებისათვის.

1. რეკუპერაციული დამუხრუჭება. დამუხრუჭების ეს ხერხი ხორციელდება მაშინ, როცა ძრავას ბრუნვის სიჩქარე და მეტი აღმოჩნდება იდეალური უქმი სვლის ბრუნვის სიჩქარე და -ზე და მისი ე.მ.ძ. E გადააჭარბებს ქსელის ძაბგა U -ს. ძრავა ამ შემთხვევაში მუშაობს გენერატორულ რეჟიმში ქსელის პარალელურად და აწვდის ელექტრულ ენერგიას; დენიც იცვლის მიმართულებას, რომელიც აშკარაა ტოლობიდან


$$I = (U - E) / R = -(E - U) / R , \quad 2.17$$

და შესაბამისად, ნიშანს შეიცვლის ძრავას მომენტიც, ანუ იყი განდება დამამუხრუჭებელი - $M = -K\Phi I$. თუკი ავლნიშნავთ სამუხრუჭე მომენტს M_{sa} $= -M$, მაშინ 2.14 განტოლება $\omega > \omega_0$ -ის გათვალისწინებით მიიღებს სახეს

$$\omega = \frac{U}{K\Phi} + \frac{R_L}{K^2\Phi^2} M_{sa}. \quad 2.18$$


განტოლების მარჯვენა მხარის პირველი წევრი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებელი ამ სამუხრუჭე რეჟიმში, $M = 0$ -ის დროს, გადის წერტილში, რომელიც, ისევე როგორც ძრავულ რეჟიმში, შეესაბამება იდეალური უქმი სვლის ბრუნვის სიხშირეს. მექანიკური მახასიათებლის დახრა (სიხისტე) განისაზღვრება განტოლების მეორე წევრით $R_L / K^2\Phi^2$, რომელიც ღუზის წრედის მოცემული წინაღობის დროს, მუდმივია. შესაბამისად, მექანიკური მახასიათებლის დახრა ამ სამუხრუჭე რეჟიმში იგივეა, რაც იყო ძრავულ რეჟიმში. ამის

გამო, რეკუპერაციული დამუხსრუჭების რეჟიმში, მექანიკური მახასიათებელი წარმოადგენს ძრავული რეჟიმის მექანიკური მახასიათბლის გაგრძელებას მეორე კვადრანტში. დამუხსრუჭების ეს ხერხი შესაძლებელია, მაგალითად, სატრანსპორტო და ამწე მექანიზმების ამძრავებში ტვირთის ჩაშვებისას ან სიჩქარის რეგულირების ისეთი ხერხის დროს, როცა აღმოჩნდება, რომ მნიშვნელობა $\omega > \omega_0$. ასეთი დამუხსრუჭება მეტად ეკონომიურია, რადგანაც ზასიათდება ქსელში ენერგიის მიწოდებით, მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი $\omega > \omega_0$ პირობის დაცვა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რაც მეტია ღუზის წრედის წინაღობა, მით მეტია ბრუნვის სიჩქარე რეკუპერაციულ სამუხსრუჭე რეჟიმში, ერთი და იგივე სტატიკური მომენტის დროს, ნახ. 2.9



ნახ. 2.9 დამუკიდებელ აგზებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები ძრავულ და სამუხსრუჭო რეჟიმებში

2. დინამიკური დამუხრუჭება ხორციელდება ღუზის წრედის ქსელიდან ამორთვით და გარეშე წინაღობაზე მიერთებით, ამიტომ მას ხშირად რეოსტატულ დამუხრუჭებას უწოდებენ (ნახ. 2.10).



ნახ. 2.10 დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას ჩართვი სქემა
დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმში

აგზნების გრავნილი ამ დროს ქსელთან ჩართული უნდა დარჩეს. დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმიშიც, მანქანა მუშაობს როგორც გენერატორი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამძრავში დაგროვილი კინეტიკური ან ჩამაგლი ტვირთის პოტენციალური ენერგია გარდაიქმნება ელექტრულად და განსზვავებით რეგულირაციული რეჟიმისა, გამოიყოფა ღუზის წრედში სითბოს სახით.

იმის გამო, რომ ე.მ.დ. დამუხრუჭების დროს ინარჩუნებს იგივე ნიშანს, რაც ჰქონდა ძრაულ რეჟიმში და ღუზას გარედან ძაბვა არ მიეწოდება, ღუზის დენი განისაზღვრება ფორმულით

$$I = (U - E) / R = (0 - E) / R = -E / R , \quad 2.19$$

სადაც R - ღუზის წრედის საერთო წინაღობაა.

სამუხრუჭე მომენტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ როგორც

$$-M_{\text{სამ}} = K\Phi I = -K\Phi \frac{E}{R} = -K^2 \Phi^2 \frac{\omega}{R}, \quad 2.20$$


მაგნიტური ნაკადის მუდმივობის დროს ($\Phi = \text{const}$) იქნება

$$\omega = \frac{R}{K^2 \Phi^2} M_{\text{სამ}} = \frac{R}{C^2} M_{\text{სამ}}. \quad 2.21$$

მექანიკური მახასიათებელი დინამიკური დამუხრუჭების დროს, როგორც 2.21-დან ჩანს, წარმოადგენს წრფეს, რომელიც საკონრდინატო სათავეზე გადის და მისი დახრის კუთხე იცვლება R -ის მიხედვით. მინიმალური დახრა (მაქსიმალური სიხისტე) მიიღება ნულოვანი რეოსტატული წინაღობის დროს, ანუ მაშინ, როდესაც ღუზის წრედში მხოლოდ ღუზის წინაღობაა ჩართული (იხ. ნახ. 2.9). რაღანაც მახასიათებელი კოორდინატთა სათავეზე გადის, ბრუნვის სიჩქარის შემცირებას მოჰყვება სამუხრუჭე მომენტის შემცირებაც და გამოდის, რომ დინამიკური დამუხრუჭებით ძრავას სრული გაჩერება შეუძლებელია. ამიტომ, იძულებული ვართ საბოლოო გაჩერებისათვის გამოვიყენოთ მექანიკური მუხრუჭი. ეს დინამიკური დამუხრუჭების ძირითადი ნაკლია.

დინამიკური დამუხრუჭება ფართოდ გამოიყენება ამძრავის შესანელებლად, განსაკუთრებით ამწევ მექანიზმებში ტვირთების ჩაშვების დროს. იგი საკმაოდ ეკონომიკურია, მაგრამ ამ მხრივ ჩამორჩება რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმს.

3. უკუჩართვით დამუხრუჭება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ძრავას გრავილები ჩართულია ერთი მიმართულებით სამოძრაოდ, მაგრამ მასზე ისეთი სიღიღის დატვირთვაა მოღებული, რომ ძრავა იმულებით ბრუნავს მეორე მიმართულებით. ეს ხორციელდება, მაგალითად, ამწევის ამძრავში, როცა ძრავა ჩართულია ტვირთის აწევაზე, ხოლო ტვირთის წონისაგან გამოწვეული მომენტი ისეთია, რომ აიმულებს ძრავას დაბრუნდეს ტვირთის ჩაშვების მიმართულებით. ასეთივე რეჟიმი მიიღება, თუკი ურთი მიმართულებით მბრუნავ ძრავას შევუცვლით ქსელის პოლარობას და ამით შევქმნით მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულების მაბრუნ მომენტს. განვიხილოთ ეს რეჟიმი გრაფიკულად.



ნახ. 2.11 დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებელი უკუჩართვითი დამუხრუჭების რეჟიმში ტვირთის ჩაშვებისას

დავუშვათ, ძრავზე მოდებულია **M_{სტ1}** დატვირთვა და იგი
მუშაობს **a** წერტილში ძრავულ რეჟიმში. ახლა დავუშვათ, რომ
რაღაც მიზეზით დაიწყო სტატიკურმა დატვირთვამ გაზრდა ძრავას
ლილვზე. ამას მოჰყვება ბრუნვის სიჩქარის შემცირება და შესაბა-
მისად, ე.მ.ძ.-ის შემცირებაც. ძრავის ღუზაში გამავალი დენი
 $I = (U - E)/R = (U - C\omega)/R$ დაიწყებს გაზრდას. როცა ბრუნვის
სიჩქარე ნულს გაუტოლდება $\omega = 0$, ძრავაში გაივლის მოკლედ
შერთვის (მ.შ) დენი $I_{გ.შ} = U/R$ (**b** წერტილი) და იგი განავი-
თარებს მ.შ.-ის მომენტს, **M_{გ.შ-ს.}** დატვირთვის შემდგომ გაზრდას
მოჰყვება ძრავას ბრუნვის მიმართულების შეცვლა და შესაბამისად
ძრავაში გამავალი დენის გაზრდა $I = (U + C\omega)/R$, დენის
გაზრდას კი მოჰყვება მომენტის გაზრდა და როცა ეს
უკანასკნელი გაუტო-ლდება ჩამავალი ტვირთვის წონისაგან
გამოწვეულ მომენტს, **M_{სტ2-ს.}** დამყარდება თანაბარი მოძრაობა
(**c** წერტილი). როგორც

$$I = (U + C\omega)/R \quad 2.22$$

გამოსახულებიდან ჩანს, ძრავაში გამავალმა დენსა, გარკვეულ პი-
რობებში, შეიძლება გადააჭარბოს დასაშვებს. ამის გამო, უკუჩარ-
თვით დამუხრუჭების დროს, ღუზის წრედში დამატებით წინაღო-
ბას რთავენ (ამას მასასიათებლის დახრაც გვიჩვენებს).

ბოლო ფორმულის ორივე მხარეს თუ გავამრავლებთ **IR-ზე**,
მიიღება

$$I^2R = UI + C\omega = UI + \Theta$$

2.23

სადაც I^2R - ღუზის წრედის გათბობაზე დახარჯული სიმ-
ლავრეა; UI - ქსელიდან წამოღებული სიმძლავრე; Θ - ძრავას
ლილვზე, ჩამავალი ტვირთის მექანიკური სიმძლავრის ექვივალენ-
ტური ელექტრული სიმძლავრე.


ეკონომიკურობის თვალსაზრისით უკუჩრთვით დამუხრუჭების
რეჟიმი, განხილულ რეჟიმებთან შედარებით, ყველაზე არაეკონომი-
ური რეჟიმია - ჩამავალი ტვირთის ენერგია და ქსელიდან წამოღე-
ბული ენერგია, ორივე გამოიყოფა ღუზის წრედში სითბოს სახით.
დადგითი მხარეებია: ამ რეჟიმით შესაძლებელია ამძრავის როგ-
ორც შენელება, ისე სრულიად გაჩერება და რევერსიც კი.

2.4 მუდმივი დენის მიმდევრობით აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები

მუდმივი დენის მიმდევრობით აგზნებიანი ძრავას ჩართვის
სქემა წარმოდგენილია ნახ. 2.14-ზე. ელექტრომექანიკური მახასი-
ათებლის განტოლებას, მსგავსად დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავ-
ისა, აქვს სახე

$$\omega = \frac{U - I_{\text{დ}} R_{\text{დ}}}{K\Phi} , \quad 2.24$$

სადაც $R = R_{\text{ლ}} + R_{\text{აგ}} + R_{\text{რ}}$ - ღუზის წრედის სრული წინაღობაა და შედგება ღუზის, აგზნების გრაგნილისა და რეოსტატის წინაღობების ჯამისაგან, ომი.




ნახ. 2.14 მიმღევრობით აგზნებიანი მუდმივი დენი ძრავას ქსელთან ჩართვის სქემა

დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავასაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, აგზნების გრაგნილის მაგნიტური ნაკადი იქმნება ღუზაში გამავალი დენით. მაგნიტური ნაკადის დამოკიდებულება ამ დენისაგან განისაზღვრება დამაგნიტების მრუდით, რომელიც ნახ. 2.15-ზეა წარმოდგენილი. მაგნიტური ნაკადი შეიძლება ღუზის დენის პროპორციულად ჩაითვალოს ნომინალური დენის მხოლოდ 80%-მდე, ე.ი. სანამ მაგნიტური სისტემა გაჯერებული არ არის და ძრავა მუშაობს დამაგნიტების მრუდის სწორხაზოვან უბანზე.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შეიძლება დაიწეროს

$$\Phi = C I_{\text{ლ}}, \quad 2.25$$

სადაც C - პროპორციულობის კოეფიციენტია, ომი.წმ;



ნახ. 2.15 მიმდევრობით აგზნებინი მუდმივი დენის ძრავას

გებერ-ამპერული მახასიათებელი

მაგნიტური ნაკადის მნიშვნელობის ჩასმით 2.25-დან 2.5-ში,
გვექნება

$$M = KCl_{\varphi}^2 \quad 2.26$$

საიდანაც

$$I_{\varphi} = \sqrt{\frac{M}{KC}} \quad 2.27$$

შევიტანოთ 2.25 და 2.27 გამოსახულებები 2.4-ში და
გვექნება

$$\omega = \frac{U}{K\Phi} - \frac{I_{\varphi}R}{K\Phi} = \frac{U}{KCl_{\varphi}} - \frac{I_{\varphi}R}{KCl_{\varphi}} = \frac{U}{\sqrt{KC}\sqrt{M}} - \frac{R}{KC}, \quad 2.28$$


ანუ

$$\omega = \frac{A}{\sqrt{M}} - B \quad 2.29$$

სადაც

$$A = \frac{U}{\sqrt{KC}}; \quad B = \frac{R}{KC}$$

2.29-ის თანახმად, როცა $M \rightarrow 0$, კუთხური სიჩქარე მიისწრაფება უსასრულობისაკენ, ხოლო როცა $\omega = 0$, მაშინ $M = (A/B)^2$. ამის გამო, ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი არ გადაიკვევება სიჩქარის ღერძთან, არის მისი ასიმპტოტა და წარმოადგენს ჰიპერბოლას (ნახ. 2.16). მცირე დატვირთვის მომენტების დროს, კუთხურმა სიჩქარემ, შეიძლება დაუშვებელ სიდიდეებს მიაღწიოს და ამის გათვალიწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმდევრობით აგზნებიანი ძრავას მუშაობა უქმ სვლაზე, დაუშვებელია.



ნახ. 2.16 მიმდევრობით აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავას მექანიკური მახასიათებლები ღუზის წრედის სხვადასხვა ძაბვის დროს


2.29 განტოლება იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩავატაროთ მიმდევრობით აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლის ფორმის ხარისხობრივი ანალიზი. მაგრამ ეს განტოლება, ზემოთ აღნიშნული დაშვებების გამო, იშვიათად გამოიყენება პრაქტიკული გამოთვლებისათვის. დამამზადებელი ქარხანა ცალკეული სერიის ძრავებისათვის იძლევა ბუნებრივი მახასიათებლების უნივერსალურ მრუდებს. უნივერსალური მახასიათებლები წარმოადგენენ კუთხური

სიჩქარისა და მომენტის ფარდობითი სიდიდეების დამოკიდებულებას ღუზაში გამავალ დენის ფარდობით სიდიდესთან (ნახ. 2.17).

$$\text{აქ} - \omega^* = \frac{\omega}{\omega_0}; \quad M^* = \frac{M}{M_0} \quad \text{და} \quad I^* = \frac{I}{I_0}. \quad \text{იციან რა ძრავას ნომინა-$$

ლური მონაცემები, აძლევენ დენს სხვადასხვა მნიშვნელობას და უნივერსალური მახასიათებლებით აგებენ ძრავას ბუნებრივ მექანიკურ მახასიათებლებს.

ღუზის მიმდევრობით დამატებითი წინაღობის ჩართვით მექანიკური მახასიათებელი მნიშვნელოვნად რბილდება



ნახ. 2.17 მიმდევრობით აგზნებიანი მუდმივი დენის ძრავას
უნივერსალური მახასიათებლები

ხელოვნური (რეისტატული) მახასიათებლების ასაგებად შესაძლებელია ვისარგებლოთ ბუნებრივი მექანიკური მახასიათებლის განტოლებით.

ბუნებრივი მახასიათებლის განტოლება

$$\omega_0 = \frac{U}{K\Phi} \left[1 - \frac{I_R(R_R + R_{s3})}{U} \right] \quad 2.30$$

ძრავას რეოსტატული მახასიათებლის განტოლება

$$\omega_r = \frac{U}{K\Phi} \left[1 - \frac{I_L (R_L + R_{ag} + R_r)}{U} \right] \quad 2.31$$

გავყოთ 2.31 გამოსახულება 2.30-ზე და განვსაზღვროთ იქიდან ω_r

$$\omega_r = \omega_d \frac{U - I_L (R_L + R_{ag} + R_r)}{U - I_L (R_L + R_{ag})} \quad 2.32$$

სადაც ω_d და ω_r - შესაბამისად ბუნებრივი და რეოსტატული მახასიათებლების კუთური სიჩქარეებია.

2.30 ფორმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქსელის ძაბვის შემცირებით მიღებული ზელოვნური მახასიათებლებიც განლაგდებიან ბუნებრივის ქვემოთ (ნახ. 2.16).

მიმღევრობით აგზნებიანი ძრავები, ისევე როგორც დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავები, დენის მიხედვით შეიძლება გადაიტვირთონ, მოკლე წნით, 2...2.5-ჯერ.


მიმღევრობით აგზნებიანი ძრავების მომენტი იზრდება არა მარტო დენის ზარჯზე, არამედ ნაკადითაც. მაგნიტური ნაკადი დენის პროპორციული რომ ყოფილიყო, დენის ორჯერ გაზრდით მომენტი ოთხჯერ გაიზრდებოდა, მაგრამ, მაგნიტური წრედის გაჯერების გამო, მომენტი დაახლოებით სამჯერ იზრდება. დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავებში კი, სადაც მომენტი დენის პირდაპირპორციულია, დენის ორჯერ გაზრდით, მომენტიც ორჯერ იზრდება.

ყოველივე ამის გამო, მიმდევრობით აგზნებიანი ძრავებს ფართოდ გამოიყენებენ საშახტო და სამრეწველო ელმავლების ელექტროამძრავებში. მთავარი მათი უპირატესობა სხვა ძრავებთან შედარებით ისაა, რომ შესაძლებელია საგრძნობი გაშვები მომენტის მიღება გაშვებისა და გადატვირთვის დროს.

მექანიკური მახასიათებლები სამუხრუჭე რეჟიმებში.

მიმდევრობით აგზნებიან ძრავებს ორი სამუხრუჭე რეჟიმი გააჩნიათ: დინამიკური და უკუჩართვითი. იმის გამო, რომ ასეთი ტიპის ძრავების მექანიკური მახასიათებლები სიჩქარის დერშს არ გადაკვეთენ, ანუ შეუძლებელია მომენტის ნიშნის შეცვლა, რეჟუპერაციული დამუხრუჭებება ვერ განხორციელდება.


მიმდევრობით აგზნებიანი ძრავების დინამიკური დამუხრუჭების ორი ხერხი არსებობს: დამოუკიდებელი აგზნებით და თვითაგზნებით. დამოუკიდებელი აგზნებით დამუხრუჭების სქემა მოცემულია 2.18 ნახ.-ზე. დამუხრუჭებებისას გაიხსნებიან **KM₁** კონტაქტები და ჩაიკეტებიან **KM₂**. იმისათვის, რომ აგზნების გრაგნილში დენიშეიზღუდოს ნომინალურ მნიშვნელობამდე, მას ჩართავენ ქსელში **R_{აგ}**-ის მიმდევრობით. ასეთი სქემით ჩართვა საუსებით ანალოგიურია დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავის ჩართვის სქემისა იგივე რეჟიმში. დამუხრუჭების ამ ხერხის ძირითადი უარყოფითი მნარე, დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავასთან შედარებით, არის მნიშვნელოვანი ენერგიის ზარჯვი.



ნახ. 2.18 მიმდევრობით აგზნებიანი მუდმივი ძრავას ჩართვის
სქემა დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმში

თუკი დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავაში აგზნების გრაფიკის სიმძლავრე ძრავას მთლიანი სიმძლავრის ($0.5...3$) %-ია, მიმდევრობით აგზნებიანში საჭირო სამუხრუჭო მომენტის მისაღებად აგზნების გრაფიკილში უნდა გაიაროს ნომნალური დენის ტოლმა სიღიდემ. ასე, რომ აგზნების წრედის სიმძლავრე თითქმის ძრავას ნომინალური სიმძლავრის ტოლდა.

თვითაგზნებით დამუხრუჭებას პრაქტიკაში არ მიმართავენ.



ნახ. 2.19 მიმდევრობით აგზნებიანი ძრავას მექანიკური
მახსასიათებლები უკუჩრთვით დამუხრეჭების დროს


დამუხრუჭების უკუჩართვითი რეჟიმი მიმდევრობით აგზნებიან ძრავაში წორციელდება დამოუკიდებელ აგზნებიანი ძრავას შეგავსად, ანუ აქტიური მომენტის დროს, როცა $M_{\text{სტ}} > M_{\text{გ.შ.}}$ (1-მახასიათებელი ნახ. 2.19 -ზე) ანდა ღუზის მომჭერებზე ძაბვის პოლარობის გადართვით (2- მახასიათებელი ნახ. 2.19-ზე). როგორც დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავაში, უკუდენით დამუხრუჭების დროს, ღუზის წრედში უნდა ჩაირთოს დენის შემზღვული წინაღობა.

შერეულ აგზნებიან ძრავებს ძალზე იშვიათად გამოიყენებენ სამთო მრეწველობაში და ამის გამო, ისინი აქ არ განიხილება.

2.5 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები

ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი

ფაზურ როტორიანი ასინქრონული ძრავას ჩართვის სქემა მოცემულია ნახ. 2.20-ზე.




ნახ. 2.20 ასინქრონული ფაზურ როტორიანი ძრავას ჩართვის სქემა

მექანიკური მახასიათებლის განტოლების მისაღებად სარგებლობენ გამარტივებული ჩანაცვლების სქემით, რომელიც ნახ.

2.21-ზეა წარმოდგენილი.

აქ S - ასინქრონული ძრავის სრიალია;

$$S = (\omega_0 - \omega) / \omega_0 ; \quad 2.39$$



ნახ. 2.21 ასინქრონული ძრავას ჩანაცვლების სქემა (I_μ , R_μ და X_μ შესაბამისად დამაგრიტების კონტურის დენი, აქტიური და ინდუქტიური წინაღობაა)
ასეთი ექვივალენტური სქემისათვის საერთო წინაღობაა

$$Z = \sqrt{(R_1 + R_2' / S)^2 + X_{\mu}^2} . \quad 2.40$$

საღაც R_1 , X_1 სტატორის აქტიური და ინდუქტიური წინაღობაა,
ომი;

R_2' , X_2' როტორის ფაზის აქტიური და ინდუქტიური
წინაღობაა, მიყვანილი სტატორთან, ომი;

$X_{\mu} = X_1 + X_2'$ —მოკლედ ჩართვის ინდუქტიური წინაღობა, ომი.

ძრავაში გამავალი დენი, დამაგნიტების დენის გაუთვალისწინებლად, ტოლია სტატორის გრაგნილზე დაყვანილი როტორის დენისა

$$I_1 \approx I_2' = \frac{U_3}{Z} = \frac{U_3}{\sqrt{(R_1 + R_2'/S)^2 + X_{a.b.}^2}} \quad 2.41$$

ძრავის ω_0 კუთხური სიჩქარით მბრუნავი მაგნიტური ველის მიერ როტორზე გადაცემულ სიმძლავრეს აქვს სახე

$$P_{\text{ემ}} = M_{\text{ემ}} \omega_0 \quad 2.42$$

სადაც $M_{\text{ემ}}$ - ძრავას ელექტრომაგნიტური მომენტია, ნმ.

ნაწილი ამ სიმძლავრისა იკარგება როტორის გრაგნილში, ხოლო დანარჩენი ნაწილი გარდაიქმნება მექანიკურ სიმძლავრედ

$$P = P_{\text{ემ}} - 3 \cdot I_2'^2 \cdot R_2' \quad 2.43$$

თუ ჩავსვავთ 2.43-ში 2.42-ს და შევცვლით P -ს $M_{\text{ემ}}\omega$ -თი, მივიღებთ

$$M_{\text{ემ}} \cdot \omega = M_{\text{ემ}} \cdot \omega_0 - 3 \cdot I_2'^2 \cdot R_2' \quad 2.44$$

ხოლო 2.40-ის გათვალისწინებით გვექნება

$$M_{\text{ემ}} = \frac{3 \cdot I_2'^2 \cdot R_2'}{\omega_0 S} \quad 2.45$$

თუკი მექანიკურ დანაკარგებს, მათი სიმცირის გამო, მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ ძრავის მიერ განვითარებული მოქნები $M = M_{\text{ემ}}$.

შევიტანოთ 2.45-ში ფორმულაში როტორის დენის მნიშვნელობა და მივიღებთ ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის განტოლებას

$$M = \frac{3U_{\phi}^2 \cdot R'_2}{\omega_0 \cdot S \left[(R_1 + R'_2/S)^2 + X_{\partial R}^2 \right]} \quad 2.46$$

უკანასკნელი ფორმულის ანალიზი გვიჩვენებს, რომ $M=f(S)$ ფუნქციას აქვს ორი მაქსიმუმი - ერთი ძრავულ რეჟიმში, მეორე გენერატორულში (რეკუპერაციულში). თუ ავიღებთ $dM/dS=0$, განვსაზღვრავთ სრიალის იმ კრიტიკულ მნიშვნელობას, რომლის დროსაც ელექტროძრავა განავითარებს მაქსიმალურ (კრიტიკულ) მომენტს

$$S_{\partial R} = \pm \frac{R'_2}{\sqrt{R_1^2 + X_{\partial R}^2}} \quad 2.47$$

შევიტანოთ 2.47-დან $S_{\partial R}$ -ის მნიშვნელობა 2.46 ფორმულაში და მივიღებთ მაქსიმალური მომენტის გამოსახულებას

$$M_{\partial R} = \frac{3U_{\phi}^2}{2\omega_0 \cdot \left(R_1 \pm \sqrt{R_1^2 + X_{\partial R}^2} \right)} \quad 2.48$$

დადებითი ნიშანი აიღება ძრავული და უკუჩართვითი, ზოლო უარყოფითი-რეკუპერაციული რეჟიმების დროს.

თუ გავყოფთ 2.46 გამოსახულებას 2.48-ზე და გავითვალისწინებთ 2.47-ს, მივიღებთ მექანიკური მახასიათებლის ფორმულას უფრო მოსახერხებული სახით

$$M = M_{\beta} \frac{2 + \alpha S_{\beta}}{S/S_{\beta} + S_{\beta}/S + \alpha S_{\beta}} \quad 2.49$$

სადაც $\alpha = 2 \cdot R_1/R'_2$

საშუალო და დიდი სიმძლავრის ძრავებში (10-15 კვტ და ზემოთ), სტატორის აქტიური წინაღობის სიდიდე მისი სიმცირის გამო შეიძლება უგულებელყოფი. მაშინ 2.49 გამოსახულება უფრო მოსახერხებელი და მარტივი გახდება

$$M = \frac{2M_{\beta}}{S/S_{\beta} + S_{\beta}/S} \quad 2.50$$

თუ 2.50-ში ჩავსვავთ $S=1$ ($n=0$), მივიღებთ ამუშავების მომენტის მნიშვნელობას

$$M_{\text{მ}} = \frac{2M_{\beta}}{1/S_{\beta} + S_{\beta}/S} \quad 2.51$$

მაქსიმალური მომენტის ფარდობით ნომინალურთან, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძრავას გადატვირთვის უნარიანობაზე. ამ ფარდობას უწოდებენ მაქსიმალური (კრიტიკული) მომენტის ჯერადობას-


$$\lambda_6 = M_{\beta}/M_6, \quad 2.52$$

საშახტო ამწევ მანქანებზე გამოყენებულ ფაზურ როტორიან ასინქრონულ ძრავებს აქვთ $\lambda_6 = 1.3 \dots 2.5$, ხოლო საშახტო მოკლედ შერთულ როტორიან ძრავებს - $\lambda_6 = 2.5 \dots 3.5$.

თუ შევიტანთ 2.50-ში M და S მიმდინარე მნიშვნელობების ნაცვლად ძრავას ნომინალურ სიდიდეებს, M_6 და S_6 , და გამოვიყენებთ 2.52-ს, მივიღებთ

$$S_{\delta} = S_6 (\lambda_6 + \sqrt{\lambda_6^2 - 1}) \quad 2.53$$

ნახ. 2.22 ა)-ზე წარმოდგენილია ასინქრონული ძრავას ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი $M = f(S)$ ფუნქციის სახით.
ხოლო ნახ. 2.22 ბ) -ზე $M = f(\omega)$ ფუნქციით.



ნახ. 2.22 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის მნიშვნელოვან წერტილებს წარმოადგენ:

- 1) $S = 0; (\omega = \omega_0) \cdots M = 0$ -- უქმი სვლის რეჟიმი;
- 2) $S = S_6; (\omega = \omega_6) \cdots M = M_6$ -- ნომინალური რეჟიმი;
- 3) $S = S_{\delta}; (\omega = \omega_{\delta}) \cdots M = M_{\delta}$ -- ძრავას მაქსიმალური (კრიტიკული) მომენტი;
- 4) $S = 1; (\omega = 0) \cdots M = M_{\delta}$ -- ძრავას ამუშავების მომენტი.

როგორც 2.50 გამოსახულებიდან ჩანს, სრიალის მცირე სიღიღეების დროს ($S << S_{kr}$), მომენტისა და სრიალის დამოკიდებულება შეიძლება წრფიგად ჩათვალოს (ab მონაკვეთი)

$$M = \frac{2M_{j\omega}}{S_{j\omega}} S \quad 2.54$$

მახასიათებლის ამ ნაწილს უწოდებენ მუშა ანუ მდგრად უბანს. როდესაც $S >> S_{kr}$, მომენტის გამოსახულება მიიღებს სახეს

$$M = \frac{2M_{j\omega}}{S} S_{j\omega}, \quad 2.55$$

მიეღიეთ ჰიპერბოლას განტოლება (bc მონაკვეთი). მახასიათებლის ამ ნაწილს უწოდებენ არამდგრად (არამუშა) უბანს და ამ უბნით მუშაობს ძრავა მხოლოდ ამუშავების პროცესში.

ზემოთ განხილული მახასიათებლები ბუნებრივი მახასიათებლებია და ისინი აიგებიან შემდეგი თანმიმდევრობით. ძრავას საპასპორტო მონაცემებია: ნომინალური სიმძლავრე $-P_6$, კვტ; ნომინალური ბრუნვის სისშირე $-n_6$, ბრ/წთ; გადატვირთვის კოეფიციენტი $- \lambda_6 = M_{j\omega}/M_6$; წყვილ პოლუსთა რიცხვი $- p$).

განისაზღვრება: $\left(\omega_0 = \frac{\pi n}{30} \right)$

1) ძრავას ნომინალური სრიალი- $S_6 = 1 - \omega_6 / \omega_0$

სადაც $\omega_0 = 2\pi f/p$ -სტატორის ელექტრომანიტური ველის ბრუნვის სიხშირეა, ხოლო $f = 50$ ჰz ქსელის სიხშირე;

$$2) \text{ძრავას კრიტიკული სრიალი} - S_{cr} = S_c(\lambda_c + \sqrt{\lambda_c^2 - 1})$$

3) ძრავას ნომინალური მომენტი

$$M_c = 9550P_c/n_c = P_c 10^3 / \omega_c, \text{ ნმ}$$

4) ძრავას მაქსიმალური (კრიტიკული) მომენტი


$$M_{cr} = M_c \lambda_c$$

ამის შემდეგ სრიალს მისცემენ სხვადასხვა მნიშვნელობებს 1-დან 0-მდე და 2.50 ფორმულით ააგებენ ასინქრონული ძრავას ბუნებრივ მექანიკურ მახასიათებელს $M=f(S)$ კოორდინატებში.

მნიშვნელოვანი კონსტრუქციული პარამეტრები, რომლებითაც ხასიათდებან ელექტროამძრავის მოკლედ შერთულ როტორიანი ძრავები, არის საწყისი ამუშავების მომენტისა და დენის ჯერადობები ($K_m = M_{cr}/M_c$ და $K_i = I_{cr}/I_c$). ნახ. 2.23 – ზე მოყვანილია ძრავას ბუნებრივი ელექტრომექანიკური და მექანიკური მახასიათებლები.

ამ მახასიათებლების შედარებიდან ჩანს, რომ მოკლედ შერთული როტორიანი ძრავა ქსელიდან მოითხოვს მნიშვნელოვან ამუშავების დენს, იმ დროს, როცა ამუშავების მომენტის სიდიდე შედარებით მცირე სიდიდეა. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ამუშავების დროს სტატორის წინაღობა თითქმის მთლიანად

ინდუქტურია და ამის გამო მცირეა დენის აქტიური მდგენელი, რომელიც განსაზღვრავს ძრავას მომენტის სიდიდეს.



ნახ. 2.23 მოკლედ შერთულ როტორიანი ასინქრონული ძრავას მექანიკური (1) და ელექტრომექანიკური (2) მასასითებლები მოკლედ შერთულ როტორიანი ძრავას საწყისი ამუშავების მომენტის ჯერადობა

$$K_m = M_{\delta} / M_0 = 1 \dots 2 \quad 2.56$$

ხოლო საწყისი, ამუშავების დენის ჯერადობა


$$K_i = I_{\delta} / I_0 = 5 \dots 7 \quad 2.57$$

იმისთვის, რომ შეამცირონ ამუშავების დენის მნიშვნელობა და პირიქით, გაზარდონ ამუშავების მომენტი, ამზადებენ სპეციალური შესრულების მოკლედ შერთულ როტორიან ძრავებს: ღრმად ღრმულებიანი როტორით ან ორმაგი გრავილიანი როტორით. ასეთი ჭიპის ძრავები ფართოდ გამოიყენება შახტებში, მათი $O K_m = 1.2 - 2.5$ და $K_i = 3.5 - 6.0$.

სელოვნური მექანიკური მახასიათებლები. ზემოთ განხილული ასინქრონული ძრავების ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი გაანგარიშებული იქნა იმ პირობით, რომ ქსელის ძაბვა და სიზშირე წომინალურია, ხოლო სტატორისა და როტორის წრედში არ არის ჩართული დამატებითი წინაღობა. საწარმოო პირობებში კი, ქსელის გადატვირთვის გამო, ძაბვისა და სიზშირის მნიშვნელობანი ხშირად იხრებიან წომინალურიდან, ხოლო ამძრავის სიჩქარის რეგულირებისათვის ან ამუშავების დენის შეზღუდვისათვის ძრავას წრედში ჩართავენ აქტიურ ან ინდუქციურ წინაღობებს.

განვიხილოთ ქსელის ძაბვის გავლენა ძრავას მექანიკურ მახასიათებელზე.

როგორც 2.46 და 2.48 გამოსახულებებიდან ჩანს, სრიალის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის ძრავას მიერ განვითარებული მომენტი ძაბვის კვადრატის პროპორციულია. ამის გამო, ასინქრონული ძრავა მეტად მგძნობიარეა ძაბვის მერყეობის მიმართ. რადგანაც ძრავას სინქრონული კუთხური სიჩქარე და სრიალის კრიტიკული მნიშვნელობა (2.40 და 2.47) არ არის დამოკიდებული ქსელის ძაბვაზე, სელოვნურ მახასიათებლებს ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობების დროს აქვთ ნახ. 2.24 ა)-ზე წარმოდგენილი სახე იმისათვის, რომ აიგოს სელოვნური მექანიკური მახასიათებლები ძაბვის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის, საჭიროა ჯერ აიგოს ბუნებრივი მახასიათებელი და შემდეგ $M_b = M_0(U_b/U_0)^2$ დამოკიდებულებით აიგება სელოვნური მახასიათებლები.




ნახ. 2.24 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები
სხვადასხვა ძაბვისა (ა) და სიხშირის (2) დროს

როგორც 2.40 ფორმულიდან ჩანს, ძრავას სინქრონული კუთხური სიხშირე პირდაპირპორციულია ძაბვის სიხშირისა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სტატორის აქტიურ წინაღობას, (იხ. 2.47), კრიტიკული სრიალის მნიშვნელობა უკუპოროპორციულია ძაბვის სიხშირისა - $S_{ж.к.}/S_{ж.б.} = f_6/f_3$. როგორც ნახაზიდან ჩანს, ძრავას მაქსიმალური მომენტი იცვლება, როგორც ძაბვის, ისე ძაბვის სიხშირის ცვლილებით. პრაქტიკულად, მაქსიმალური მომენტის მუდმივად შენარჩუნებაა საჭირო. ამისათვის ცვლიან ერთდროულად, როგორც ქსელის ძაბვას, ასევე ძაბვის

სიხშირეს ისეთი კანონით, რომ ფარდობა ქსელის ძაბვისა დენის სიხშირესთან იყოს მუდმივი სიდიდე, ანუ

$$U_f = \text{const} \quad 2.58$$

ასეთ შემთხვევაში მაქსიმალური მოძრვის შეიცვლება უმნიშვნელოდ და მახასიათებლებს ექნებათ სახე (ნახ.2.25)



ნახ. 2.25 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები ძაბვისა და სიხშირის $U/f = \text{const}$ კანონით რეგულირებისას

განვიხილოთ როტორის წრედში ჩართული რეოსტატის წინაღობის გავლენა მახასიათებლის ფორმაზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტატორის აქტიურ წინაღობას, კრიტიკული სრიალის მნიშვნელობა ხელოვნურ მახასიათებლზე იქნება

$$S_{\text{კრ.}} = (R'_2 + R'_r) / X_{\text{კრ}} \quad 2.59$$

ხოლო ბუნებრივზე --

$$S_{\text{კრ}} = R'_2 / X_{\text{კრ}} \quad 2.60$$

გავყოთ ბოლო ფორმულები ერთმანეთზე და გვექნება

$$S_{\text{კრ.}} = S_{\text{კრ}} (R'_2 + R'_r) / R'_2 = S_{\text{კრ}} (R_2 + R_r) / R_2, \quad 2.61$$

სადაც R_2 - როტორის წრედში ჩართული რეოსტატის წინაღო-


ბაა. ეს დამოკიდებულება სამართლიანია სრიალის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის.

ამგვარად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სრიალის სიდიდე, ერთი და იგივე მომენტის დროს, ხელოვნურ მახასიათებელზე იმდენჯერ მეტია ბუნებრივი მახასიათებლის შესაბამის სრიალზე, რამდენჯერაც მეტია როტორის სრული წინაღობა ($R_2 + R_r$) როტორის გრავნილის (R_g) წინაღობაზე. ეს უკანასკნელი კი გამოითვლება ფორმულით

$$R_{\text{როტ}} = E_{2g} \cdot S_g / (\sqrt{3} I_{2g}) \quad 2.62$$

სადაც I_{2g} -- როტორის ნომინალური დუნია, ა; ხოლო E_{2g} - როტორის ე.მ.ძ., ვ. მათი სიდიდეები ძრავებისათვის მოცემულია კატალოგში.

პრაქტიკულად, E_{2g} ძაბვაა უძრავი, გახსნილწრედიანი როტორის რგოლებს შორის, როცა სტატორი ჩართულია ნომინალურ (U_g და f_g) პარამეტრებიან ქსელში. მახასიათებლები რეოსტატის სხვადასხვა მნიშვნელობების დროს მოყვანილია ნახ. 2.26-ზე.



ნახ. 2.26 მექანიკური მახასიათებლები როტორის წრედში სხვადასხვა აქტიური წინაღმდევობების დროს


მექანიკური მახასიათებლები სამუხრაჭე რეჟიმებში.

ასინქრონულ ძრავებში შესაძლებელია განხორციელდეს სამივე სახის სამუხრაჭე რეჟიმი: რეკუპერაციული, დინამიკური და უკურნაროვითი.

რეკუპერაციული დამუხრაჭებება. რეკუპერაციული დამუხრაჭებების რეჟიმი წარმოიშვება მაშინ, როცა ძრავას როტორის კუთხური სიჩქარე მეტი აღმოჩნდება სინქრონულზე და იბრუნებს იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც ბრუნავს სტატორის ელმაგნიტური ველი. რეკუპერაციული დამუხრაჭებების დროს როტორის მომენტისა და დენს აქვთ უარყოფითი მნიშვნელობა, მანქანა მუშაობს ასინქრონული გენერატორის რეჟიმში და აგზავნის ქსელში ელექტროგას ჩამავალი ტვირთის მექანიკური ენერგიის ხარჯზე. ძრავას მომენტი, რომელსაც უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, დამამუხრაჭებებლად მოქმედებს ჩამავალ ტვირთზე და როდესაც ძრავას მომენტი და ჩამავალი ტვირთის წონით გამოწვეული მომენტი ერთმანეთს გაუტოლდება, ტვირთი ეშვება თანაბარი სიჩქარით. ამ რეჟიმის მექანიკური მახასიათებლები წარმოადგენენ ძრავული რეჟიმის გაგრძელებას და მოთავსებულნი არიან მეორე კვადრანტში (ნახ. 3.27). როგორც 2.48 განტოლებიდან ჩანს, კრიტიკული (მაქსიმალური) მომენტის მნიშვნელობა რეკუპერაციულ რეჟიმში მეტია ძრავული რეჟიმის კრიტიკულ მომენტზე. როტორის წრედის აქტიური წინაღობის გაზრდით, ძრავას სიჩქარე რეკუპერაციულ დამუხრაჭების რეჟიმში იზრდება და შეიძლება დასაშვებს გადააჭარბოს. ამის გამო, რეკუპერაციული დამუხრაჭება მიზანშეწონილია

განხორციელდეს ბუნებრივი მახასიათებლით. ამ რეჟიმში, სრიალის მნიშვნელობა, რაღაც $\omega > \omega_0$, ყოველთვის უარყოფითი სიდიდა

$$S = (\omega_0 - \omega)/\omega_0 = -(\omega - \omega_0)/\omega_0$$




ნახ. 2.27 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები რეკუპერაციული დამუხტრუჭების დროს: 1. $R_d=0$ და 2. $R_d \neq 0$

დინამიკური დამუხტრუჭება. დამუხტრუჭების ეს წერხი შეიძლება განხორციელდეს სტატორის გრავნილის მუდმივი დენის წყაროსთან მიერთებით. ამისათვის, ასინქრონული ძრავას სტატორს, დინამიკური დამუხტრუჭების რევიმის განხორციელებისათვის, გამორთავენ ცვლადი დენის წრედიდან და მიუერთებენ მუდმივი დენის წყაროს (ნახ. 2.28). ამასთან, როტორის წრედში ჩართულია რეოსტატი სხვადასხვა სამუხტრუჭე მახასიათებლის მისაღებად.

სტატორის გრავნილში გამავალი მუდმივი დენი შექმნის უძრავ ელექტრომაგნიტურ ველს. როტორის ბრუნვისას მის გრავნი-


ლებში დაინდუქტირდება ე.მ.ძ., რომელიც როტორში წარმოშობს ცვლად დენს და რომელიც, თავის მხრივ, შექმნის ელექტრომაგნიტურ ველს. ეს ველი სტატორის მიმართ უძრავია. ჯამური მაგნიტური ნაკადის ზარჯზე წარმოიქმნება ძრავას მამუხრუჭელი მომენტი. ნახ. 2.28-ზე წარმოდგენილი სტატორის ჩართვის ელექტრული სქემა ყველაზე მარტივი, ეფექტური და გავრცელებული სქემაა არსებული დინამიკური დამუხრუჭების სქემებიდან.



ნახ. 2.28 ასინქრონული ფაზურ როტორიანი ძრავას ჩართვის სქემა
დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმში

დინამიკური დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლები მსგავსია ძრავული რეჟიმის მექანიკური მახასიათებლებისა. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლები გადაინ კომლდინატთა სათავეში, რადგანაც სიჩქარეების ნულოვანი მნიშვნელობების დროს, სამუხრუჭე მომტკიც ნულის ტოლია.

ძრავულ და სამუხრუჭე რეჟიმში მექანიკური მახასიათებლების მსგავსებას ამტკიცებს სამუხრუჭე მახასიათებლის განტოლებაც



ნახ. 2.29 ასინქრონული ძრავის მექანიკური მახასიათებლები
დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმში


$$M = \frac{2M_{\text{კრ.დ}}}{\nu/\nu_{\text{კრ}} + \nu_{\text{კრ}}/\nu}. \quad 2.63$$

ამ ფორმულით სარგებლობენ, როცა სურთ ააგონ დინამიკური დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლი. $M_{\text{კრ.დ}}$ და $\nu_{\text{კრ}}$ სი-
დიდები განისაზღვრება ელექტროამძრავისათვის წაყნებული
პირობებით ($\nu = \omega/\omega_0$).

დინამიკური დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლები რო-
ტორის ორი სხვადასხვა წინაღობისათვის და სტატორში გამავალი
მუდმივი დენის ორი მნიშვნელობისათვი მოყვანილია ნახ. 2.29-ზე.
1 და 2 მახასიათებელი შეესაბამება როტორის ერთი და იმავე წი-
ნაღობას სტატორის დენის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის და 3
და 4 იგივე დენების მნიშვნელობებისათვის, როტორის უფრო დი-
დი წინაღობების დროს.

უკუჩართვით დამუხრუჭება. ასინქრონულ ძრავებში უკუჩართვით დამუხრუჭების რეჟიმი, მსგავსად მუდმივი დენის ძრავებისა, შეიძლება განხორციელდეს :

- ან ჩამავალი ტენის დატენის მომენტის ზარჯზე, როცა $M_{n\phi} > M_{a\phi}$ და როტორის წრედში საკმაოდ დიდი წინაღობაა ჩართული (ნახ. 2.30, I და IV კვადრანტი),
- ან ერთი მიმართულებით ინერციით მბრუნავ ძრავაში მომჭერების სწრაფი გადართვით საწინააღმდეგო ბრუნვის მიმართულების ჩართვაზე ძრავას სრულ გაჩერებამდე (ნახ. 2.30, II და III კვადრანტი).



ნახ. 2.30 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები

უკუჩართვით დამუხრუჭების რეჟიმში ჩაირთვება როტორის წრედში, უკუჩართვის დამუხრუჭების რეჟიმში, ჩაირთვება რეოსტატი საჭირო მომენტის მისაღებად და დენის შესაზღუდედ. დენი ამ რეჟიმში იზრდება იმის გამო, რომ სტატორის ელ-მაგნიტური ველი და როტორი ბრუნავენ საპირისპირო მიმართუ-

ლებით. სრიალის მნიშვნელობა უკუჩართვის რეჟიმში ერთზე მეტია, რადგანაც

$$S = [\omega_0 - (-\omega)]/\omega_0 = (\omega_0 + \omega)/\omega_0$$


ამ რეჟიმის დაღებით მხარეს მიეკუთვნება სქემის სიმარტივე (რევერსიული ამძრავის დროს არავითარი დამატებითი აპარატურა საჭირო არ არის), საკმაო სამუხრუჭო მომენტის განვითარების საშუალება სიჩქარის ნებისმიერი მნიშვნელობის დროს, თვით $\omega = 0$ -ის დროსაც.

უარყოფითი მხარეებია: 1) ენერგიის დიდი დანაკარგები, მსგავსად მუდმივი დენის ძრავას უკუდენითი დამუხრუჭების რეჟიმისა; 2) არასიმდოვრე ერთი მახასიათებლიდან მეორეზე გადასვლისას (რეოსტატით რეგულირებისას).

2.6 სინქრონული ძრავას მექანიკური

მახასიათებლები


სინქრონული ძრავების კუთხური სიჩქარე არ არის დამოკიდებული დატვირთვის სიდიდეზე. იგი დამოკიდებულია მხოლოდ ქსელის სიხშირესა და ძრავას წყვილ პოლუსთა რიცხვზე. სინქრონული ძრავა წარმოადგენს მანქანას, რომლის სტატორი იკვებება ცვლადი დენის ქსელიდან, ხოლო როტორის გრავნილი - მუდმივი დენის წყაროდან (ნახ. 2.31).



ნახ. 2.31 სინქრონული ძრავის ჩართვის სქემა


სინქრონული ძრავების ერთ-ერთი დადგებითი მხარე არის წინსწრებითი სიმძლავრის კოეფიციენტის არსებობა, ხოლო უარყოფითი -შედარებით რთული ამუშავების რეჟიმი, ვიდრე ასინქრონული ძრავასი. ამის გამო, სინქრონულ ძრავებს გამოიყენებენ საშუალო და დიდი სიმძლავრის მექანიზმებისათვის, სადაც საჭირო არ არის ხშირი ჩართვები და ბრუნვათა რიცხვის რეგულირება. სამთო მრეწველობაში სინქრონულ ძრავებს გამოიყენებენ წყალ-ამოსაღვვრელ, სავენტილატორო და საკომპრესორო დანალგარებაში, აგრეთვე საშუალო და დიდი მწარმოებლობის ექსკავატორებსა და დიდი სიმძლავრის ამწევ მანქანებში, გენერატორის ამძრავ მანქანად და სხვ.

რადგანაც სინქრონულ ძრავაში კუთხური სიჩქარე არ არის დამოკიდებული მომენტის ცვალებადობაზე (დასაშვები დენის სიდიდემდე), ამიტომ მექანიკური მახასიათებელი წარმოადგენს აბსიციათა ღერძის პარალელურ ხაზს (ნახ. 2.32). ძრავის გადატვირთვის კოეფიციენტი λ შეადგენს $\lambda = 2 \dots 2.5$.



ნახ. 2.32 სინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებელი

სინქრონული ძრავას დამუხრუჭებება შესაძლებელია დინამიკური დამუხრუჭებითა და აგრეთვე უკუჩართვითი რეჟიმით. დინამიკური დამუხრუჭების დროს სტატორის გრავნილი ამოირთვება ქსელიდან და მიერთდება რეოსტატზე (ნახ. 2.33), როტორის ავზნების გრავნილი რჩება მუდმივი დენის წყაროსთან მიერთებული. ამასთან, მანქანის მუშაობის რეჟიმი ანალოგიურია ასინქრონული ძრავას დინამიკური დამუხრუჭებისა. სინქრონული ძრავას დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმს მიმართავენ ვენტილატორების ამძრავებში. უკუჩართვითი დამუხრუჭების რეჟიმს სინქრონულ ძრავებისათვის პრაქტიკულად არ გამოიყენებენ.



ნახ. 2.33 სინქრონული ძრავას დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმი რეკუპერაციულ დამუხრუჭებას, მსგავსად უკუდენითი დამუხრუჭების რეჟიმისა, პრაქტიკულად არ მიმართავენ.

თავი III

გარდამავალი პროცესები ელექტროამძრავში

3.1 საერთო ცნებები ელექტროამძრავებში მიმდინარე

გარდამავალ პროცესებზე

საწარმოო მანქანების უმეტესობა მუშაობს აღმასრულებელი ორგანის ცვალებადი დატვირთვითა და სიჩქარით. ყოველი მანქანის მუშაობა იწყება მისი ამუშავებით, ხოლო მთავრდება- დამუნარუშებით. ყველა შემთხვევაში ხდება მუშაობის ერთი რეჟიმიდან მეორეში გადასვლა. ელექტრომძექანიკურ სისტემებში არსებული ინერციების გამო ეს გადასვლები გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობს.

ელექტროამძრავის გადასვლის პროცესს, ერთი დამყარებული მუშაობის რეჟიმიდან მეორეში, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ პროცესს უწოდებენ.

გარდამავალი პროცესის დროს იცვლება ძრავას მომენტი, სიჩქარე, სიმძლავრე, დენი და ჭემპერატურა, ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ქსელში ძაბვის ვარდნა.

ელექტროამძრავის მუშაობის დროს მასში შეიძლება დაგროვდეს და გაიცეს სხვადასხვა სახის ენერგია: მექანიკური - ამძრავის ყოველ მოძრავ ნაწილში; ელექტრომაგნიტური - ელექტრომანქანების გრავნილებში; თბური - მართვის აპარატურასა და ელექტრომანქანებში.

ამის შესაბამისად, ელექტროამძრავში განიხილავენ შემდეგ სახის გარდამავალ პროცესებს:

- 1) მექანიკური - ითვალისწინებს სისტემის კინეტიკური და პოტენციალური ენერგიების ცვლილებას;
- 2) ელემაგნიტური - ითვალისწინებს ელექტრომაგნიტური ენერგიის ცვლილებას;
- 3) თბური - ითვალისწინებს თბური ენერგიის მარაგის ცვლილებას

პრაქტიკულად, ელექტროამძრავის მუშაობის დროს, სამივე სახის გარდამავალი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს, მაგრამ მათი ზანგრძლიობა და მოქმედების ხასიათი ელექტროამძრავზე სახვადასხვაა.

გარდამავალი პროცესების ანალიზი დაიყვანება სისტემის ძირითადი ელექტრული და მექანიკური სიდიდეების დროში ცვალებადობის კანონის განსაზღვრაში.

გარდამავალი პროცესის გამოკვლევისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია დიფერენციალური განტოლების შედგენა. ამ განტოლების ამოხსნა, მოცემული საწყისი პირობებისათვის, აღწერს სისტემის ქცევას როგორც გარდამავალ, ისე დამყარებულ რეჟიმში. როგორც წესი, ელექტროამძრავის ყველა სისტემები წარმოადგენ არაწრფივ სისტემებს, რომელთა ანალიზი დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ამჟამად, გარდამავალი პროცესის კვლევისათვის მიმართავენ მათემატიკურ მოდელირებას გამომთვლელი მანქანის საშუალებით.

ქვემოთ განიხილება ელექტროამძრავებში მიმდინარე სხვა-

დასხვა სახის გარდამავალი პროცესების კერძო შემთხვევები, რომ-
ელთა ანალიზი, გარევეული დაშვებებით, შესაძლებელია და პრაქ-
ტიკულ ინტერესს იწვევს.

3.2 მექანიკური გარდამავალი პროცესები ელექტრო- ძრავას წრფივი მექანიკური მახასიათებლისა და უცვლელი დატვირთვის დროს

წრფივი მექანიკური მახასიათებელი გააჩნია ასინქრონულ
ფაზურ როტორიან ძრავას მახასიათებლის მდგრად შტოზე და მუ-
დმივი დენის დამოუკიდებელ (პარალელურ) აგზნებიან ძრავას.

ამოცანის მიზანია ელექტროამძრავის ამუშავებისა და დამუ-
ხრუჭების პროცესში განისაზღვროს სიჩქარის, მომენტისა და
დენის ცვლილების კანონი. ამისათვის საჭიროა მოძრაობის ამსახ-
ველი განტოლების შედგენა.

მოძრაობის ძირითად განტოლებაში (1.7)

$$J \frac{d\omega}{dt} = M - M_{n\ell}$$

განვსაზღვროთ M მომენტის მნიშვნელობა.

ნახ. 3.1-დან, სამკუთხედების მსგავსობიდან გამომდინარე


$$\frac{M_{\partial.\beta.} - M}{\omega} = \frac{M_{\partial.\beta.}}{\omega_0}$$

საიდანაც - $M = M_{\partial.\beta.} \left(1 - \frac{\omega}{\omega_0} \right)$, 3.1

სადაც - $M_{\partial.\beta.}$ -- ძრავას მიერ განვითარებული მომენტია

ნულოვანი სიჩქარის დროს ($\omega = 0$), ნ.მ;

$$\beta\beta = \frac{M_{\partial.\beta.}}{\omega_0} - \text{მექანიკური მახასიათებლი სიხისტე, ნმ;}$$



ნახ. 3.1 წრფივი მექანიკური მახასიათებელი

თუ ჩავსვავთ მომენტის მნიშვნელობას 3.1 ფორმულიდან მოძრაობის ძირითად განტოლებაში, მივიღებთ

$$J \frac{d\omega}{dt} + \beta\omega = M_{\partial.\beta.} - M_{\text{სტ}} \quad 3.2$$

გავყოთ განტოლების ორივე მხარე β -ზე და გვექნება

$$T_M \frac{d\omega}{dt} + \omega = \omega_{\text{დამ}} \quad 3.3$$

სადაც $T = J/\beta = J\omega_0 / M_{\theta,\text{f.}} \dots$ ელექტროამძრავის დროის
მუდმივაა, წმ;

$$\omega_{\text{დამ}} = \frac{M_{\theta,\text{f.}} - M_{\text{სტ}}}{\beta} - \text{კუთხური} \quad \text{სიჩქარის} \quad \text{დამყარე-}$$

ბული მნიშვნელობა, რაღ/წმ.

ელექტროამძრავის დროის მუდმივა არის ის დრო, რომლის
განმავლობაშიც დაუტვირთავი ელექტროძრავა, გაქანდება უძრავი
მდგომარეობიდან და ω_0 კუთხურ სიჩქარემდე, როცა მისი მომენტი
უცვლელია და ტოლია $M_{\theta,\text{f.}}$ მომენტისა.

3.1 ნახაზიდან (თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე კო-
ორდინატები შეიძლება შეცვალოთ ნომინალური მნიშვნელობებით)

$$\beta_{\text{ნომ}} = \frac{M_{\text{ნომ}}}{\omega_0 - \omega_{\text{ნომ}}} \quad 3.4$$

და თუ გავითვალისწინებთ ასევე, რომ ცვლადი დენის ძრა-
ვებში

$$S_{\text{ნომ}} = (\omega_0 - \omega_{\text{ნომ}})/\omega_0 \quad 3.5$$

ელექტროამძრავის დროის მექანიკური მუდმივა ფაზურ რო-
ტორიანი ასიქრონული ძრავასათვის გამოითვლება ფორმულით

$$T_M = J \frac{\omega_0 S_{\text{ნომ}}}{M_{\text{ნომ}}} \quad 3.6$$

3.3 პირველი რიგის დიფერენციალური განტოლების ამონა-
ზსნი

$$\omega = \omega(0) \cdot \exp(-t/T_M) + \omega_{\text{დამ}}(1 - \exp(-t/T_M)) \quad 3.7$$

სადაც $\omega(0)$ - ძრავას საწყისი კუთხური სიჩქარეა.


კერძო შემთხვევაში, როცა $\omega(0)=0$

$$\omega = \omega_{\text{დამ}}(1 - \exp(-t/T_M)), \quad 3.8$$

დამუხრუჭების დროს კი -

$$\omega = \omega(0) \cdot \exp(-t/T_M) \quad 3.9$$

როგორც 3.7, 3.8 და 3.9 გამოსახულებებიდან ჩანს, ამძრავის კუთხური სიჩქარის ცვლილება ექსპონენციალური კანონით მიმდინარეობს (ნახ. 3.2)



ნახ. 3.2 კუთხური სიჩქარის ცვლილების გრაფიკი გარდამავალ პერიოდში

1-აჩქარება, $\omega_{\text{საწ}} \neq 0$; 2- აჩქარება, $\omega_{\text{საწ}} = 0$; 3- შენელება

კუთხური სიჩქარის ცვლილების დრო, 3.7 ფორმულიდან

$$t = T_M \ln \frac{\omega(0) - \omega_{\text{dam}}}{\omega - \omega_{\text{dam}}} \quad 3.10$$

გარდამავალი პროცესის ხანგრძლივობა, როგორც 3.10 ფორმულითან ჩანს, თეორიულად უსასრულობის ტოლია, რადგანაც როცა $\omega \rightarrow \omega_{\text{დამ}}$, მაშინ $t \rightarrow \infty$; პრაქტიკულად გარდამავალი პროცესი დასრულებულად ითვლება $t = (4\dots 5)T_M$ -ის შემდეგ, რადგანაც ამ დროს განსხვავება ძრავას რეალურ კუთხურ სიჩქარესა და დამყარებულ ბრუნვის სიჩქარეს შორის $(0.7\dots 1.8)\%$ -ია, რაც სავსებით დასაშვებია პრაქტიკული ანგარიშისათვის.

$$\text{გარდამავალი პროცესის დასასრულს, როცა } \frac{d\omega}{dt} \rightarrow 0, \text{ ძრა-}$$

გას კუთხური სიჩქარე გაუტოლდება დამყარებულს

$$\omega = \omega_{\text{დამ}} = \frac{M_{\theta, \dot{\theta}} - M_{\text{სტ}}}{\beta} = \omega_0 - \frac{M_{\text{სტ}}}{\beta} \quad 3.11$$

წრფივი მექანიკური მახასიათებლის დროს, დამოკიდებულება ძრავას მიერ განვითარებულ მომენტსა და კუთხურ სიჩქარეს შორის გამოიისახება ფორმულით

$$\omega = \frac{M_{\theta, \dot{\theta}} - M}{\beta} ; \quad 3.12$$

$$\omega(0) = \frac{M_{\theta, \dot{\theta}} - M(0)}{\beta} ; \quad 3.13$$

$$\omega_{\text{დამ}} = \frac{M_{\theta, \dot{\theta}} - M_{\text{დამ}}}{\beta} . \quad 3.14$$

ამ უკანასკნელთა გათვალისწინებით მივიღებთ ძრავას მიერ განვითარებული მომენტის ცვლილების კანონს დროში

$$M = M(0) \cdot \exp(-t/T_M) + M_{\text{დაბ}}(1 - \exp(-t/T_M)) \quad 3.15$$

მუდმივი დენის დამოუკიდებელ აგზებიან ძრავებში, სადაც განვითარებული მომენტი ღუზის დენის პროპორციულია, 3.15-ის გათვალიწინებით შეიძლება დაიწეროს

$$I = I(0) \cdot \exp(-t/T_M) + I_{\text{დაბ}}(1 - \exp(-t/T_M)) \quad 3.16$$

გარდამავალი პროცესის მრუდეებსაც ექსპონენციალური სახე ექნებათ.

როგორც მექანიკური დროის მუდმივას განმსაზღვრელი ფორმულიდან ჩანს, გარდამავალი პროცესის ხანგრძლივობა პირდაპირპროპორციულია სისტემის დაყვანილი ინერციის მომენტისა და უკუპროპორციულია ძრავის მიერ განვითარებული მომენტისა. ამიტომ, მწარმოებლობის გაზრდის მიზნით ცდილობენ, შესაძლებლობის ფარგლებში, შეამცირონ ინერციის მომენტის მნიშვნელობა და გაზარდონ ამამუშავებელი მომენტი.

ამრიგად, წრფივ მახასიათებლიანი ამძრავის მექანიკური გარდამავალი პროცესის განმსაზღვრელი კანონი შეიძლება მივიღოთ ანალიზური გზით. იმ შემთხვევაში, როცა მექანიკური მახასიათებელი არაწრფივია და წინააღმდეგობის მომენტი არ არის მუდმივი, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელირება გამოთვლელი მანქანის საშუალებით.

3.3 ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესები

ელექტრულ მანქანებში ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესები განპირობებულია მისი წრედების ინდუქციურობითა და მასში გამავალი დენის კვალრატის პროპორციული ელექტრომაგნიტური ენერგიის ცვლილებით. რადგანაც ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესების ხანგრძლივობა ასინქრონულ ძრავებში მიღისეკუნდებით განისაზღვრება, ხოლო მუდმივი დენის ძრავებში სეკუნდებით, ამიტომ, როგორც წესი, ელექტრომაგნიტურ გარდამავალ პროცესებს განიხილავენ მუდმივი დენის ძრავებისათვის.

ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ასინქრონული ძრავას ელექტრომაგნიტური პროცესის ხანგრძლივობის უგულებელყოფა ყოველთვის არ შეიძლება. ეს დამოკიდებულია ელექტროამძრავის პარამეტრების ფარდობაზე. მაგალითად, ვიწრო პირმოდებიან წმენდით კომბაინებს პარამეტრების ისეთი ფარდობები აქვთ, რომ დინამიკური პროცესების გამოკვლევის დროს აუცილებელია ასინქრონული ძრავას ელექტრომაგნიტური ინერციის მხედველობაში მიღება.


მუდმივი დენის ძრავას ამუშავების, დამუხრუჭებისა და სიჩქარის რეგულირების ძირითადი საშუალებაა მკვებავი დენის წყაროს ან ძრავას აგზნების გრაგნილზე მიწოდებული ძაბვის რეგულირება, ხოლო დამოუკიდებელ აგზნებიან ძრავებსა და გენერატორებში აგზნების გრაგნილში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესები შეიძლება განვიხილოთ ცალკე, სხვა პროცესებისაგან იზოლირებულად.

აგზნების წრედში (ნახ.3.3) გარდამავალი პროცესის ამსახული დიფერენციალური განტოლება შეიძლება გამოისახოს

$$U = IR + L \frac{dI}{dt} \quad 3.17$$

სადაც U და I - აგზნების წრედის ძაბვა (ვ) და დენია(ა);

L და R - გრაგნილის ინდუქციურობა (ჰნ) და ომური წინაღობა (ომ).



ნახ. 3.3 ელექტრული მანქანის აგზნების წრედი

ხშირ შემთხვევაში გრაგნილის ინდუქციურობა ცვალებადი სიდიდეა და იცელება დიდ ფარგლებში მაგნიტური წრედის გაჯერების მიხედვით. ასეთ დროს აგზნების გრაგნილში გამავალი დენის ცვლილების ხასიათი დროში არაწრფივი დიფერენციალური განტოლებით აღიწერება.


როდესაც შეგვიძლია დავუშვათ, რომ $L = \text{const}$, 3.17 განტოლების ამონაზნი $I(0)$ საწყისი პირობის დროს იქნება

$$I = I(0) \cdot \exp(-t/T_E) + I_{\text{და}} (1 - \exp(-t/T_E)) \quad 3.18$$

სადაც $I_{\text{და}} = U/R$ -- აგზნების წრედში დამყარებული დენის მნიშვნელობაა, ა; $T_E = L/R$ - აგზნების წრედის ელექტრომაგნიტური დროის მუდმივა, წმ; $I(0)$ - აგზნების დენის საწყისი მნი-

შვნელობა.

როგორც 4.18 გამოსახულებიდან ჩანს აგზნების გრაფიკი ლანგი ძაბულის მოდებით გრაგნილში გამავალი დენის მნიშვნელობა მყისურად არ იცვლება. არამედ მომატებს ან იცვლებს ექსპონენციალური კანონით (ნახ. 3.4). გარდამავალი პროცესის ხანგძლივობა დამოკიდებულია ელექტრომაგნიტური დროის მუდმივაზე. პრაქტიკულად, გარდამავალი პროცესი მთავრდება $t = (4 \dots 5)T_E$ დროის შემდეგ.




ნახ. 3.4 აგზნების წრედში გარდამავალი პროცესი

1- ჩართვა, $I_{saF} \neq 0$; 2-ჩართვა, $I_{saF} = 0$; 3- გამორთვა

დენის ასეთი მდორე ზრდა დადებითად მოქმედებს აგრეგატის მუშაობაზე. გერერატორის ან თვით ძრავას აგზნების გრაფიკილში დენის ექსპონენციალური ზრდა მდორედ შეცვლის დენის მნიშვნელობას ძრავას ღუზის წრედში, რაც თავის მხრივ ასევე მდორედ შეცვლის ძრავას მიერ განვითარებულ მომენტს, შემცირდება გადატვირთვები ამძრავში და ამით, საბოლოო ჯამში, გაიზრდება დანადგარის საიმედოობა და მუშაობის ხანგრძლივობა.

ზოგიერთ შემთხვევაში კი დენის ასეთი მდორე ზრდა, უარყოფითად მოქმედებს მანქანის მწარმოებლობაზე, მაგალითად საშახტო ამწე მანქანებსა და ექსკავატორებში. ასევე, ავტომატური რეგულირების სისტემებიან ამძრავებაში, შესამჩნევი დაგვიანება იწვევს ელექტრომექანიკური სისტემის რხევითი პროცესების გაძლიერებას და საბოლოო ჯამში, მუშაობის საიმედოობისა და ხანგრძლივობის შემცირებას. ამის გამო, ხშირ შემთხვევაში ახორციელებენ აგზნების დენის ზრდის პროცესის დაჩქარების ღონისძიებებს.

განვიხილოთ მუდმივი დენის მანქანებში აზნების წრედში დენის ზრდის დაჩქარების მეთოდები. პირველ შემთხვევაში აგზნების გრავნილის მიმდევრობით რთავენ რეზისტორს, R_r (ნახ. 3.5). ამით ელექტრომაგნიტური დროის მუდმივა $T_{E1} = L/(R + R_r)$ მცირდება. იმისათვის, რომ აგზნების დენის დამყარებული მნიშვნელობა დარჩეს $I_{\text{დამ}} = U/R$ - ის ჭოლი, საჭიროა ძაბვის სიდიდე გათხარდის $(R + R_r)/R$ - ჯერ. ამ ხერხის ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა დამატებითი დანაკარგები რეზისტორის ჩართვის გამო.




ნახ. 3.5 ელექტრული მანქანის აგზნების წრედი
რეზისტორის დამატებით

მეორე მეთოდი, რომელიც გამორიცხავს ზემოთ მოყვანილ უარყოფით მხარეს, მდგომარეობს აგზნების დენის ცვლილების

ფორსირებაში, ე.წ. "აგზნების ფორსირება". აგზნების ფორსირება ხორციელდება აგზნების გრაგნილზე გაზრდილი ძაბვის მიწოდების გზით. დავუშვათ, რომ აგზნებაზე მოდებულია ძაბვა, რომელიც α- ჯერ მეტია იმ ძაბვაზე, რომელიც საჭიროა აგზნების დენის დამყარებული მნიშვნელობის მისაღებად, მაშინ დენის ცვლილების კანონი (ნულოვანი საწყისი პირობებისათვის) იქნება

$$I = \alpha \frac{U}{R} (1 - \exp(-t/T_E))$$

როდესაც დენის მნიშვნელობა მიაღწევს $I_{დამ} = U/R$ სიდიდეს, ფორსირება უნდა მოიხსნას.



ნახ. 3.6 აგზნების დენის ცვლილება: 1- ფორსირების გარეშე; 2- ფორსირება მუდმივი რეზოსტორით; 3- ფორსირება დამატებითი რეზისტორის გამორთვით


როგორც 3.6 ნახაზიდან ჩანს, ფორსირების ხარჯზე აგზნების დენის მნიშვნელობა თავის დამყარებულ სიდიდეს აღწევს გაცილებით მცირე t_2 დროში, ვიდრე ნომინალური ძაბვის დროს.

ფორსირების გარეშე დენის ზრდის პროცესის ხანგრძლივობა დაანლოებით $t_1 = 5T_E$. გამოთვლილია, რომ როცა $\alpha = 2$, მაშინ

$$t_2 = \frac{t_1}{7} = \frac{5}{7} T_E \text{ და ამავე დროს დენის ზრდის კანონი ახლოსაა}$$

წრფივულთან.

ფორსირების მოხსნა საჭირო მომენტში შეიძლება განვახორციელოთ ნახ. 3.7-ზე მოყვანილი სქემით.



ნახ. 3.7 ფორსირების მოხსნა

KM კონტაქტის ჩაკეტვის შედეგად აგზნების გრავნილზე მოდებულია αU სიდიდის ძაბვა, რაღაც ფორსირების R_dz რეზისტორი დაშუნტებულია **KA** დენის რელეს კონტაქტით. დენის გაზრდისას $I_{dza} = U/R$ მნიშვნელობამდე, რელე იმოქმედებს და აგზნების წრედში ჩაირთვება R_dz ფორსირების რეზისტორი, რომელიც დენის შემდგომ გაზრდას შეზღუდავს.

R_dz სიდიდე განისაზღვრება გამოსახულებით :

$$R_dz = R(\alpha - 1)$$

ამრიგად, მუდმივი დენის ელამძრავის გაანგარიშებისას, აუცილებელია ელექტრომაგნიტური პროცესის გათვალისწინება.

3.4 თბური გარდამავალი პროცესები

ელექტრული ძრავების მუშაობის დროს წდება მათი გახურება ენერგიის დანაკარგების ხარჯზე. მუშაობის დასაწყისში გამოყოფილი სითბოს დიდი ნაწილი მიღის თვით მანქანის ტემპერატურის მომატებაზე, ხოლო მცირე- გადაეცემა გარემოს. მანქანის ტემპერატურის მომატებასთან ერთად იზრდება გარემოზე გადაცემული სითბოს რაოდენობა და რომელიდაც განსაზღვრული ტემპერატურის დროს, მანქანის შემდგომი გახურება შეწყდება და მოედი გამოყოფილი სითბო გადაეცემა გარემოს.

ტემპერატურის ყოველგვარი ცვლილება დაკავშირებულია ელმანქანის თბური ენერგიის მარავის ცვლილებებზე, რის შედეგადაც წარმოიშვება თბური გარდამავალი პროცესი.

რადგანაც ელექტრული მანქანა წარმოადგენს სხვადასხვა სითბოს გადაცემისა და ტევადობის ერთობლიობას (ფოლადი, სპილენძი, საიზოლაციო მასალები), ხოლო სითბოს წყაროები (გრავილები, გრიგალური დენების ზონები ფოლადში და სხვ.) არათანაბრადაა მანქანაში განლაგებული, ამიტომ ძალზე გართულებულია თბური გაანგარიშებები და თითქმის ამოუხსნადია გადასაჭრელი ამოცანა. ამის გამო, პრაქტიკული შედეგების მისაღებად, შემოაქვთ გარკვეული დაშვებები. კერძოდ, ხშირად იყენებენ ერთსაფეხურიანი გახურების თეორიას, რომლის თანახმადაც ელექტრული ძრავა წარმოდგენილია როგორც ერთგვაროვანი სხეული დიდი სითბოგადაცემით და ამის ხარჯზე მანქანის ნებისმიერ წერტილს, ნებისმიერ მომენტში, აქვთ ერთნაირი ტემპერატურა.

რადგანაც ელექტრული მანქანის ტემპერატურა არც ისე დიდია, შეიძლება ჩათვალოს, რომ მანქანის ნაწილებს შორის სითბოს გაცვლა და გარემოში გამოყოფა წარმოებს კონვექციითა და სითბოგამტარობით. ელექტრული მანქანების გახურების პროცესის ასეთი იღეალიზაციის შედეგად, მიღება მარტივი დიფერენციალური განტოლებები, რომლებიც აღწერენ თბურ გარდამავალ პროცესებს.

მიღებული დაშვებების შესაბამისად შესაძლებელია დაიწეროს თბური განტოლება:

$$Qdt = A\tau dt + Cdt , \quad 3.19$$

სადაც Q - ერთეულოვან დროში ძრავაში გამოყოფილი სითბოა, კპალ/წმ;

A - ძრავას მიერ გარემოში გადაცემული სითბო 1 წმ-ის განმავლობაში, ტემპერატურათა სხვაობის $1^{\circ}C$ -ის დროს, კპალ/ $1^{\circ}C$ წმ;

τ - გადახურება, ანუ ძრავას ტემპერატურის მომატება გარემოს ტემპერატურასთან შედარებით, C° ;

C - ძრავას სითბოტეებითავა, ანუ სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა ძრავას ტემპერატურის ერთი გრადუსით გაზრდი-სათვის, კპალ/ C° .

თუ გავყოფთ განტოლების ორივე მხარეს Adt -ზე, მივიღებთ პირველი რიგის არაერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებას

$$T_\delta \frac{d\tau}{dt} + \tau = \tau_{\text{დამ}}$$

სადაც $T_\delta = C/A$ - გახურების დროის მუდმივაა, წმ;

$\tau_{\text{დამ}} = Q/A$ - გადახურების დამყარებული მნიშვნელობა;

ლობა, C^0 ;

4.20 განტოლების ამოხსნა საწყისი პირობებისათვის,

$(t=0, \tau=\tau(0))$ იქნება

$$\tau = \tau_{\text{დამ}}(1 - \exp(-t/T_\delta)) + \tau(0) \cdot \exp(-t/T_\delta)$$

თუ საწყის მომენტში ძრავის ტემპერატურული ნაზრდი გარემოსთან შედარებით ნულის ტოლი იყო $(\tau(0)=0)$, მაშინ

$$\tau = \tau_{\text{დამ}}(1 - \exp(-t/T_\delta))$$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევეშიც უნდა ჩაითვალოს, რომ გახურების პროცესი $t = (4\dots5)T_\delta$ დროის შემდეგ მთავრდება.

დიფერენციალურ განტოლებას, რომელიც აღწერს გაციების პროცესს, ექნება იგივე სახე, რაც პქონდა გახურებისას, მხოლოდ ამოხსნისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ $\tau(0) = \tau_{\text{დამ}}$.


თუ ძრავა გამორთულია ქსელიდან, $Q=0$ და $\tau_{\text{დამ}}=0$,

ამონახსნს ექნება სახე

$$\tau = \tau_{\text{საწ}} \cdot \exp(-t/T_\delta) \quad 3.23$$

გახურების მრუდები, რომლებიც შეესაბამებიან 3.21 , 3.22 და 3.23-ს, მოყვანილია 3.8-ზე.

ძრავას ცვალებადი დატვირთვის დროს გახურების მრუდი იქნება ტენილი ხაზები, რომლებიც შესდგებიან გახურებისა და გაცივების სხვადასხვა ექსპონენციალური მრუდების მონაკვეთებისაგან.



ნახ. 3.8 ელექტრული ძრავის გახურებისა (1 და 2) და გაცივების (3) მრუდები

გახურების დროის მუდმივა წარმოადგენს დროს, რომლის განმავლობაში ძრავას ტემპერატურა, გარემოში სითბოს გაუცემ-ლობის შემთხვევაში, მიაღწევდა დამყარებულის ჭოლ მნიშვნელობას, სითბოს გამოყოფა საწყისი ინტენსივობით რომ წარმართულიყო.

გახურების დროის მუდმივას განსაზღვრავენ ექსპერიმენტალურად, რადგან ანალიზურად მისი მიღება მეტად რთული და არაზუსტია.

სითბური გარდამავალი პროცესები, მექანიკურ და ელემაგნიტურ პროცესებთან შედარებით, გაცილებით ნელა მიმდინარეობს. გახურების დროის მუდმივას რეალური მნიშვნელობები ელექტრუი ძრავებისათვის ნახევარი საათიდან რამოდენიმე საათამდე ცვალება-დობს. ამის გამო, სითბური გარდამავალი პროცესები ვერავითარ გაგლონას ვერ ახდენს მექანიკურ და ელემაგნიტურ გარდამავალ პროცესებზე.

თავი IV

ელექტრული ძრავას სიმძლავრის შერჩევა

4.1 საერთო ცნებები

ელექტრული ძრავას სიმძლავრის სწორ შერჩევას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება. ძრავას სიმძლავრე სრულად უნდა შეესაბამებოდეს შესრულებული სამუშაოს რეჟიმსა და დატვირთვას. არასაკმარისი სიმძლავრის ძრავას გამოყენება იწვევს მის უდროოდ მწყობრიდან გამოსვლას, ავარიის წარმოშობას, საწარმოო მანქანის გაცდენას და საერთო ჯამში, მწარმოებლურობის შემცირებას. ზედმეტი სიმძლავრის ძრავას დადგმა კი იწვევს კაპიტალური დანახარჯების გაზრდას, ტრანსფორმატორებისა და გარდაშისანი მოწყობილობების სიმძლავრის გადიდებას, ასინქრონულ ძრავებში სიმძლავრის კოეფიციენტის შემცირებას და ენერგიის ზედმეტ ხარჯს.

მონაცემები, რომლებიც ელექტრული ძრავას პასპორტშია მოცემული, მიეკუთვნება ერთ, განსაზღვრულ ნომინალურ რეჟიმს და მათ უწოდებენ ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ მონაცემებს.

ძრავას ლილვზე მექანიკურ დატვირთვასა და მის გაზურებას შორის ურთიერთკავშირის ფიზიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დატვირთვის გაზრდასთან ერთად იზრდება ძრავას გრავნილებში გამავალი დენი. ცნობილია, რომ სითბოს რაოდენობა, რომლებიც გრავნილებში გამოიყოფა, ისევე როგორც ყველანაირ გამტარში, ამ გრავნილებში გამავალი დენის კვადრატის პროპორციულია. ძრავას გაზურებას იწვევს სხვა მიზეზიც – გარემოს ტემპერატურა, ხახუნზე დანაკარგები და სხ.

საერთაშორისო კლასიფიკაციით ძრავას ნომინალური მუშაობის რვა სახის რეჟიმი არსებობს (**S1...S8**).


განვიხილოთ მათი მოკლე დახასიათება.

1. ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი მუშაობის რეჟიმი - **S1**, ეწოდება მანქანის მუშაობის რეჟიმს, როდესაც ძრავას ლილვზე უცვლელი სიდიდის დატვირთვა ისეთი ხანგრძლივობითაა მოდებული, რომ ძრავას გაზურების ტემპერატურის ნაზრდი აღწევს თავის დამყარებულ მნიშვნელობას. ძრავას ლილვზე სიმძლავრისა (1) და გაზურების ტემპერატურის (2) დამოკიდებულება დროის მიზედვით მოყვანილია ნახ. 4.1 ა. $t_3 =$

$$= t_B + t_0$$

2. ხ ა ნ მ ო კ ლ ე ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი მუშაობის რეჟიმი - S2. მუშაობის ეს რეჟიმი ზასიათდება იმით, რომ ძრავას მუშაობის (ჩართვის) პერიოდში (t_f) მისი ტემპერატურა ვერ ასწრებს დამყარებული ტემპერატურის მიღწევას, ხოლო პაუზა (t_0) იმდენად ხანგრძლივია, რომ ძრავას ტემპერატურა ეცემა გარემოს ტემპერატურამდე (ნახ. 5.1 ბ)

3. გ ა ნ მ ო რ ე ბ ი თ-ხ ა ნ მ ო კ ლ ე ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ი მუშაობის რეჟიმი - S3. ამ რეჟიმის დროს, მუშაობის არც ერთ პერიოდში, ძრავას ტემპერატურა ვერ აღწევს დამყარებულ მნიშვნელობას, ხოლო პაუზის დროს ძრავა ვერ ასწრებს გაციებას გარემოს ტემპერატურამდე. (ნახ. 4.1 გ).



ნახ. 4.1 სხვადასხვა სითბურ რეჟიმში მომუშავე ძრავას დატვირთვის გრაფიკები
ა) - ხანგრძლივი, ბ) - ხანმოკლე, გ) - განმეორებით-ხანმოკლე

განმეორებით-ხანმოკლე მუშაობის რეჟიმი ზასიათდება ჩ ა რ თ ვ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ი თ -- (ჩხ), რომელიც გამ-

ოთვლება ძრავას მუშაობის დროის (t_b) ფარდობით ციკლის ($t_G = t_b + t_0$) დროსთან პროცენტებში:

$$ჩ\% = t_b / t_G \quad 100\% = t_b / (t_b + t_0) 100\%$$

ქარხანა ძრავებს უშვებს ჩ\% = 15,25,40 და 60 %.
სტანდარტული მნიშვნელობებისათვის.

4. განმეორებით მუშაობის რეჟიმი ხშირია ამუშავებით -S4,

5. განმეორებით მუშაობის რეჟიმი ხშირია ამუშავებით -S5,

უკანასკნელი ორი, განმეორებით-ხანმოკლე ნომინალური მუშაობის რეჟიმის ნაირსახეობას წარმოადგენს.

6. შენაცვლებითი ნომინალური რეჟიმი -S6, ისეთი რეჟიმია, რომლის დროსაც ძრავას ხანმოკლე მუშაობის პერიოდები იცვლება უქმი სვლის მუშაობის პერიოდებით. ამავე დროს, ძრავას მუშაობის პერიოდში მისმა ტემპერატურამ შეიძლება დასაშვებს მიაღწიოს.

7. შენაცვლებითი ნომინალური რეჟიმი ხშირია რეჟიმი -S7,

8. შენაცვლებითი ნომინალური რეჟიმი ორი ან მეტი ბრუნვის სის შირით -S8,

ეს უკანასკნელი გახურების თვალსაზრისით S7-ის შეგავსია.

4.2 ძრავას სიმძლავრის შერჩევა მუშაობის

სანგრძლივ რეჟიმში

მანქანებისა და მექანიზმების დიდი ნაწილი (გენტილატორები, ტუმბოები, ლენტური კონვეიერები და სხვა) მუშაობენ მუდმივი ან მცირედ ცვალებადი დატვირთვით. ამუშავების პროცესი პრაქტიკულად არ მოქმედებს ძრავას სითბურ რეჟიმზე. ამ შემთხვევაში ძრავას სიმძლავრის შერჩევა ძალზე გამარტივებულია. მაგალითად, გენტილატორის ძრავას სიმძლავრის გამოთვლა წარმოებს ფორმულით:

$$P_{გენტ} = QH10^{-3} / \eta_{გენტ}, \quad \text{კვტ;}$$

სადაც Q - გენტილატორის მწარმოებლურობაა, $\text{მ}^3/\text{წმ};$


H - დეპრესია, $\text{ნ}/\text{მ}^2;$

$\eta_{გენტ}$ - გენტილატორის მ.ქ.ქ.

ამის შემდეგ კატალოგიდან შეირჩევა უახლოესი სტანდარტული სიმძლავრის ძრავა საჭირო ბრუნვის სიხშირით.

შედარებით გართულებულია სანგრძლივ რეჟიმში მომუშავე ძრავას სიმძლავრის შერჩევა, როდესაც მასზე ცვალებადი დატვირთვაა მოღებული. ცვალებადი დატვირთვის მაგალითი მოყვანილია ნახ. 4.2 -ზე.

თუკი შევარჩევთ ძრავას, რომლის ნომინალური სიმძლავრე ტოლი იქნება P_1 მაქსიმალური დატვირთვისა, მაშინ იგი გახურების თვალსაზრისით დაუტვირთავი აღმოჩნდება, რაღაც დიდი დროის განმავლობაში იგი იმუშავებდა მცირე სიმძლავრის დატვი-



ნახ. 4.2 ცვალებადი დატვირთვით ხანგრძლივ რეჟიმში მომუშავე ძრავას დატვირთვის დაგრამა

რთვებზე. თუკი ძრავას სიმძლავრე შეიტჩოდა P_3 მინიმალური დატვირთვის მიხედვით, მაშინ აშკარაა, რომ ძრავა გადახურდებოდა ჭარბი დატვირთვისაგან და ბოლოს, თუკი ძრავას შევარჩევთ საშუალო სიმძლავრის მიხედვით, იგი მანც შეიძლება გადახურდეს იმის გამო, რომ დატვირთვის დაგრამის საშუალო მნიშვნელობა არ ითვლისწინებს დანაკარგების კვადრატულ დამოკიდებულებას ძრავას გრავილში გამავალ დენთან.

ძრავას მუშაობის ნებისმიერ რეჟიმში, მისმა ტემპერატურამ არ უნდა გადააჭარბოს იზოლაციის გახურების დასაშვებ ტემპერატურას. რადგანაც ტემპერატურის ნაზრდი დანაკარგების პროპორციულია, ამიტომ ძრავას სიმძლავრის სწორი შერჩევისათვის, აუცილებელია გამოითვალის ძრავაში თბური დანაკარგები მთელი ციკლის განმავლობაში.

თავიდან, ძრავას საორიენტაციო სიმძლავრედ აიღებენ დატვირთვის საშუალო სიმძლავრეს:

$$P_{\text{ნომ}} = K P_{\text{საშ}}$$

4.1

სადაც -- $K = 1.1 \dots 1.3$ - მარაგის კოეფიციენტია.

ამის შემდეგ $\eta = f(P)$ დამოკიდებულებით პოულობენ ძრავა-ში დანაკარგებს სხვადასხვა პერიოდისათვის:

$$\Delta P_i = P_i \frac{1 - \eta_i}{\eta_i} \quad 4.2$$

საერთო დანაკარგები ძრავაში მთელი ციკლის განმავლობაში

$$\Delta P_{\text{საშ}} = \frac{\sum \Delta P_i t_i}{\sum t_i}$$

სადაც -- P_i და t_i -- სიმძლავრე და დროა დატვირთვის i -ურ უბანზე.

ძრავა სწორად იქნება შერჩეული, თუკი დაკმაყოფილდება პირობა

$$\Delta P_{\text{ნომ}} \geq \Delta P_{\text{საშ}} \quad 4.4$$

სადაც -

$$\Delta P_{\text{ნომ}} = P_{\text{ნომ}} \frac{1 - \eta_{\text{ნომ}}}{\eta_{\text{ნომ}}} \quad 4.5$$

ცხადია, სხვაობა $\Delta P_{\text{ნომ}} - \Delta P_{\text{საშ}}$ უნდა იყოს შესაძლოდ მინიმალური ძრავას სიმძლავრის მიხედვით.

ძრავას სიმძლავრის ასეთი მეთოდით შერჩევას უწოდებენ ს ა შ უ ა ლ ო დ ა ნ ა კ ა რ გ ე ბ ი ს მეთოდს. ამ მე-თოდის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ აუცილებელია გვქონდეს ძრავას მ.ქ.კ.-ის დამოკიდებულება დატვირთვის სიდიდე-სთან $\eta = f(P)$.

ამის გამო, პრაქტიკაში ზშირ შემთხვევაში გამოიყენება ე ქვივალე რიცხვი ან საშუალო კვადრატული სიდინის მეთოდი. განვიხილოთ ექვივალენტური დენის მეთოდი, რომლის არსი შემდეგშია: ძრავაში დანაკარგების განსაზღვრისას, ნამდვილი დენი იცვლება ექვივალენტურით, რომელიც მთელი მუშა ციკლის განმავლობაში ძრავაში ივივე დანაკარგებს იწვევს, რასაც რეალური დენი გამოიწვევდა.

ძრავაში დანაკარგები მუდმივ და ცვალებად ნაწილად იყოფა. მუდმივი P_0 დანაკარგები არ არის დამოკიდებული დატვირთვაზე და განისაზღვრება მხოლოდ ძრავის ფოლადში, საკისრებში, მექანიკური და გამაგრილებელი ვენტილატორის დანაკარგებისაგან. ცვლადი დანაკარგები განისაზღვრება გრაფნილების გადახურებით და გამოითვლეა I^2R სიდიდით. შესაბამისად, დატვირთვის დიაგრამის ცალკეულ უბანზე სრული დანაკარგები იქნება

$$\Delta P_i = \Delta P_0 + I_i^2 R, \quad 4.6$$

ხოლო საშუალო დანაკარგები

$$\Delta P_{\text{საშ}} = \Delta P_0 + I_{\text{საშ}}^2 R. \quad 4.7$$

თუ შევიტანთ ბოლო ორ გამოსახულებას 4.3-ში, გვექნება

$$\Delta P_0 + I_{\text{საშ}}^2 R = \frac{\sum((\Delta P_0 + I_i^2 R) \cdot t_i)}{\sum t_i}. \quad 4.8$$

უკანასკნელი ფორმულიდან გამოითვლება

$$I_{\text{გჯ}} = \sqrt{\frac{I_1^2 t_1 + I_2^2 t_2 + \dots + I_n^2 t_n}{t_1 + t_2 + \dots + t_n}} = \sqrt{\frac{\sum I_i^2 t_i}{\sum t_i}} = \sqrt{\frac{\sum I_i^2 t_i}{T}}, \quad 4.9$$

სადაც -- $T = t_1 + t_2 + \dots + t_n$ - მუშაობის სუფთა დროა.

ძრავის სიმძლავრის სწორედ შერჩევისათვის აუცილებელი პირობაა

$$I_{\text{ნომ.ძრ}} \geq I_{\text{გჯ}} \quad 4.10$$

იმ შემთხვევაში, როცა დენის ნამდვილი მნიშვნელობა მოცემულია უწყვეტად, ცვალებადი კანონით (ნახ. 4.3), მაშინ ექვივალენტური დენის განსაზღვრისათვის სარგებლობენ მოცემული მრუდის უბანუბან წრფივი აპროკსიმაციით. ჯამში მიიღება გრაფიკი, რომელიც შედგება სამკუთხედების, ტრაპეციებისა და მართკუთხედებისაგან.

სამკუთხედების ფორმის უბნისათვის

$$I_{\text{გჯ}} = \sqrt{\frac{I_1^2}{3}} ;$$

მართკუთხედი ფორმისათვის

$$I_{\text{გჯ}} = \sqrt{\frac{I_2^2}{3}} ;$$

ხოლო ტრაპეციის ფორმისათვის


$$I_{\text{გჯ}} = \sqrt{\frac{I_4^2 + I_4 I_5 + I_5^2}{3}} .$$

ექვივალენტური დენის მნიშვნელობა ნახაზზე წარმოდგენილი დატვირთვის გრაფიკისათვის იქნება

$$I_{\text{eff}} = \sqrt{\frac{1}{T} \left(\frac{1}{3} I_1^2 t_1 + I_1^2 t_2 + I_2^2 t_3 + I_3^2 t_4 + \frac{I_4^2 + I_4 I_5 + I_5^2}{3} t_5 \right)}, \quad 4.11$$

სადაც -- $T = t_1 + t_2 + t_3 + t_4 + t_5$.

ზშირად, ექვივალენტური დენების ნაცვლად სარგებლობენ ექვივალენტური მომენტების მნიშვნელობებით. ასინქრონულ ძრავებში



ნახ. 4.3 ელამძრავის დატვირთვის დიაგრამა

ამ შემთხვევაში, გარკვეულ უზუსტობას აქვს ადგილი, მაგრამ მისი გამოყენება პრაქტიკული გაანგარიშებისათვის მაინც მიზანშეწონილია. ფორმულას ექვივალენტური მომენტისათვის აქვს ანალოგიური სახე

$$M_{\text{eff}} = \sqrt{\sum M_i^2 t / T}$$

იმ შემთხვევაში, როცა შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბრუნვის სიხშირე $\omega = \text{const}$ და თუ გავითვალისწინებთ ფორმულას,

$P = M\omega \cdot 10^{-3}$, სიმძლავრის ექვივალენტური მნიშვნელობა იქნება

$$P_{\text{ეფ}} = \sqrt{\sum P_i^2 t_i / T} \quad 4.13$$

4.3 ძრავას სიმძლავრის შერჩევა ზანმოკლე და განმეორებით-ზანმოკლე მუშაობის რეჟიმებში

მუდმივი დატვირთვით მომუშავე ძრავის სიმძლავრის შერჩევა ზანმოკლე მუშაობის რეჟიმში არ წარმოადგენს სირთულეს, თუ მისი მუშაობის t_f დრო ტოლია იმ დროისა, რომლისთვისაც ძრავას კატალოგში მოცემულია მისი ნომინალური სიმძლავრე. ამ შემთხვევაში, ძრავას სიმძლავრე შეირჩევა პირობით $P_{\text{ნომ}} \geq P$.

ხშირ შემთხვევაში, ძრავას ფარდობითი მუშაობის დრო არ ემთხვევა იმ დროს, რომლისთვისაც მოცემულია ძრავას სიმძლავრე კატალოგში. დავუშვათ, შერჩეულია ძრავა, რომლისთვისაც კატალოგში ნაჩვენები $t_{\text{ნ.სა}} \text{ სამუშაო დროისათვის}$ აქვს ნომინალური $P_{\text{ნომ}}$ სიმძლავრე. ეს ნიშნავს, რომ თუ ძრავა მუშაობს თავისი ნომინალური სიმძლავრით, მისი გადახურების ტემპერატურა მიაღწევს $\tau_{\text{და}}$ დასაშვებ მნიშვნელობას $t_{\text{ნომ}}$ დროის განმავლობაში.

ახლა დავუშვათ, რომ ძრავა გადაიტვირთა, ანუ $P_1 \geq P_{\text{ნო}} ,$ მაშინ სიმძლავრის დანაკარგები გაიზრდება და მისი გადახურების ტემპერატურა τ_1 მიაღწევს $\tau_{\text{და}}$ დასაშვებს უფრო ნაკლები, t_1 დროის განმავლობაში.

3.22 განტოლების გამოყენებთ, შეიძლება დაიწეროს τ_1 და $\tau_{\text{და}}$ გამოსახულებებისათვის

$$\tau_1 = \tau_{\text{და}, 1} \left(1 - \exp(-t_1 / T_\delta) \right);$$

$$\tau_{\text{და}} = \tau_{\text{და}, \text{ნო}} \left(1 - \exp(-t_{\text{ნო}} / T_\delta) \right)$$

τ_1 -სა და $\tau_{\text{და}}$ -ის გატოლებით მიიღება (გავითვალისწინოთ, რომ $\tau_{\text{და}, 1} = \Delta P_1 / A$ და $\tau_{\text{და}, \text{ნო}} = \Delta P_{\text{ნო}} / A$) :

$$\frac{\Delta P_1}{\Delta P_{\text{ნო}}} = \frac{1 - \exp(-t_{\text{ნო}} / T_\delta)}{1 - \exp(-t_1 / T_\delta)} \quad 4.14$$

4.14 განტოლება გვიჩვენებს სიმძლავრის სხვადასხვა დატვირთვის დანაკარგების ფარდობას სიმძლავრის ნომინალურ დანაკარგებთან. რაც მეტია P_1 დატვირთვა, ანუ რაც მეტია ΔP_1 , მით უფრო მცირე უნდა იყოს ამ დატვირთვით მომუშავე ძრავას მუშაობის ხანგრძლივობა t_1 . ამრიგად, 4.14 განტოლება შეიძლება გამოვიყენოთ ძრავას იმ სიმძლავრის განსაზღვრისათვის, რომელიც შეიძლება მან განავითაროს მოცემული, გარკვეული t_1 დროის განმავლობაში ან განისაზღვროს t_1 დრო, P_1 მოცემული სიმძლავრისათვის.

ძრავას სიმბლავრის შერჩევა განმეორებით-ხანმოკლე მუშაობის რეჟიმისათვის არ არის დაკავშირებული დიდ სიძნელეებთან იმ შემთხვევაში, თუკი ჩართვის ფარდობითი ხანგრძლივობა (ჩხ) ტოლია ერთ-ერთი სტანდარტული ნომინალური მნიშვნელობისა--
 $Cx_{\text{ნომ}} \% = 15,25,40$ და 60% . ამასთან, ძრავას სიმბლავრე შეირჩევა $P_{\text{ნომ}} \geq P$ პირობით.

ცოტათი გართულებულია ძრავას სიმბლავრის შერჩევა იმ შემთხვევაში, როცა ჩართვის ფარდობითი ხანგრძლივობა არ ემთხვევა სტანდარტულს ანუ $Cx \neq Cx_{\text{ნომ}}$. ამ შემთხვევაში ძრავას ნომინალური დანაკარგები უნდა აკმაყოფილებდეს პირობას

$$\Delta P_{\text{ნომ}} \geq \Delta P_1 Cx / Cx_{\text{ნომ}}.$$

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. მ. ჩილიკინი. ელექტროამძრავის ზოგადი კურსი. თარგმანი მეცნიერებული და გადამუშავებული გამოცემიდან. თბილისი, განათლება, 1975 წ.
2. Мартынов М.В., Переслегин Н.Г. Автоматизированный электропривод в горной промышленности. Изд. 2, перераб. и доп. М., "Недра", 1977. 375 с.
3. Чермалых В.М. Исследование сложных электромеханических систем. Киев, КПИ, 1979 г.
4. გ. წერეთელი, სამთო მანქანების ელექტრული ამძრავი. (ლექციების კონსპექტი), თბილისი, სტუ, 1998 წ.

სარჩევი

შესავალი	3
----------------	---

თავი I

ელექტროამძრავის მექანიკის საფეხულები	6
1.1 ელექტროამძრავის მოძრაობის ძირითადი განტოლება	6
1.2 წინააღმდეგობის მომენტების სახეები	17
1.3 წინააღმდეგობის მომენტებისა და ძალების, მასებისა და ინერციის მომენტების დაყვანა	21
1.4 ელექტროამძრავების ამუშავებისა და დამუხრუჭების დროის განსაზღვრა	26

თავი II

მექანიკური მახასიათებლები და ელექტრო ამძრავის სამუშაო რეჟიმები	28
2.1 მექანიკური მახასიათებლები	28
2.2 ელექტროამძრავების სტატიკური მდგრადობა	32
2.3 მუდმივი დენის დამოუკიდებელ აგზებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები	36
2.4 მუდმივი დენის მიმდევრობით აგზებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები	52
2.5 ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები	60
2.6 სინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები	78

თავი III

გარდამავალი პროცესები ელექტროამძრავში	81
3.1 საერთო ცნებები ელექტროამძრავში მიმდინარე გარდამავალ პროცესებზე	81
3.2 მექანიკური გარდამავალი პროცესები ელექტროამძრავის წრფი- ვი მექანიკური მახასიათებლისა და უცვლელი დატვირთვის დროს	83
3.3 ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესები	89
3.4 თბური გარდამავალი პროცესები	95

თავი IV

ელექტრული ძრავას სიმძლავრის შერჩევა	99
4.1 საერთო ცნებები	99
4.2 ძრავას სიმძლავრის შერჩევა მუშაობის ზანგრძლივ რეჟიმში	103
4.3 ძრავას სიმძლავრის შერჩევა ზანმოკლე და განმეორე- ბით-ზანმოკლე მუშაობის რეჟიმებში	109
ლიტერატურა	112